პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

# კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

**რედაქცია:**
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

**მთავარი კანტორა**
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—43

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 161 კვირა 15 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 161

ჩვ. მარქსის სახ. საქ. ს. ს. საჯარო ბიბლიოთეკა ს. ს. ს. ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ ღ ი უ რ ი

— ფრანგები აძლიერებენ რეპრესიებს რურის ოლქში.

— ლოზანას კონფერენციაზე ოსმალეთისა და მოკავშირეების დელეგატები ვერ შეთანხმდენ.

— ინგლისში გაფიცვები გრძელდება.

— პუანკარე საპასუხო ნოტაში აუწყებს რუსეთს, რომ საფრანგეთის მთავრობა ხელს აუ უშლის სავაჭრო ურთიერთობას რუსეთსა და საფრანგეთს შორის.

---

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აუწყებს ყველა ამხანაგებს თიანეთის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ამხ.

**სერგო სურგულაძის**

გარდაცვალებას, რომელიც დაიღუპა ბანდიტების ვერაგული ხელით თიანეთის მაზრაში.

ვსთხოვთ პარტიის და პროფკავშირთა წევრებს პატივი სცენ დაღუპულ ამხანაგის სხოვნას დასწრებით დასაფლავებაზე, რომელიც უნდა მოხდეს სამშაბათს, 17 ივლისს; გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან საღამოს 5 საათზე.

---

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყველა წევრებს და აგრეთვე საქართველოს ყველა მუშებს და გლეხებს, რომ გარდაიცვალა თიანეთის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე

**სერგო სურგულაძე**

რომელიც დაიღუპა თიანეთის მაზრაში ბანდიტების მოღალატური ხელისგან.

ცხედარის გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან მოხდება სამშაბათს, 17 ივლისს, საღამოს 5 საათზე.

---

საქ კომუნისტურ პარტიის თიანეთის სამაზრო კომიტეტი გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას და აუწყებს პარტიულ და მუშათა ორგანიზაციებს ძველი და დაუღალავი მუშაკის ამხ.

**სერგო სურგულაძის**

ბანდიტებთან ბრძოლაში დაღუპვას.

მიხაილოვის საავადმყოფოდან გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 17 ივლისს დღის 3 საათზე.

958 1—1 **მაზრკომი.**

---

თიანეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აუწყებს მუშათა ორგანიზაციებს და საბჭოთა დაწესებულებებს ძვირფასი და დაუვიწყარი თავმჯდომარის ამხ.

**სერ. კონსტანტინეს ძე სურგულაძის**

ტრაგიკულად დაღუპვას.

მიხაილოვის საავადმყოფოდან გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 17 ივლისს დღის სამ საათზე.

958 1—1 **პრეზიდიუმი.**

---

სამშაბათს, 17 ივლისს

## ამხ. კამოს სიკვდილის წლის თავზე

**რაიონულ მუშათა კლუბებში მოწყობილი იქნება დაღუპულ მებრძოლისა და რევოლიუციონერის**

**მ ო ს ა გ ო ნ ა რ ი ს ა ღ ა მ ო ე ბ ი**

**1-ლ რაიონში** (ნაძალადევის თეატრი) გამოვლენ ამხ. **მიხა ცხაკაია, კოტე ცინცაძე, სერგო ორჯონიკიძე, მგალობლიშვილი.**

**2-რე რაიონში** (მუშათა ცენტრალური კლუბი) ამხ. **ორახელაშვილი მამია, დუმბაძე ლადო, ჩოდრიშვილი მიხა, ზაქარია ზალინოვი.**

**3-მე რაიონში** (ავლაბრის მუშათა კლუბი) ამხ. **ფილიპე მახარაძე, ხანოიანი, ახატურ კახოიანი, ვანო ბოლქვაძე.**

**4-ე რაიონში** (პროფკავშირთა კლუბი) ამხ **მალ. ტოროშელიძე, აკოფ აკოფიანი, კარაპეტოვი.**

საღამოებზე მოწვეული არიან პარტიის წევრები და მუშები, რომელთაც სურთ პატივი სცენ დაღუპულ მებრძოლის ხსოვნას.

მოგონების საღამოს შემდეგ კონცერტი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე

**საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.** 2—1

---

# სასოფლო-სამეურნეო კომუნები

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ რუსეთში ფართედ გავრცელდა იდეა სასოფლო-სამეურნეო კომუნების. ასეთი კომუნები დაარსდა ბევრ ადგილას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან ჩვენშიც, თუმცა არა ისეთი ფართე მასშტაბით, როგორც რუსეთში, მაგრამ აქა იქ მაინც იყო ცდა სამეურნეო კომუნების მოწყობისა სოფლად.

კომუნისტურმა რევოლიუციამ თავისი გავლენა მოახდინა მიწის მუშაზედაც; შეარყია მისი ვიწრო ინდივიდუალისტური პსიქოლოგია, დაბადა მასში ერთგვარი ლტოლვა თავის განცალკევებული ცხოვრების, თავის კარჩაკეტილი სამეურნეო საქმიანობის გადალახვის. პრაქტიკულად ეს, სხვათა შორის, გამოიხატა კოლექტიურად მიწის დამუშავების, ნამუშევრის ასეთივე განაწილების და საერთო ძალღონით მისი გასაღების ცდაში.

მაგრამ იყო სხვა ჯურის ხალხიც, რომელიც „კომუნებს“ აარსებდა მხოლოდ იმისთვის, რომ თავი დაეღწია აგრარული რევოლიუციის შედეგებისათვის, რომ კომუნის, კოლექტიურ მეურნეობის სახით შეენარჩუნებია ნორმაზე მეტი მიწა.

ასეთ მოვლენებს ხშირად ჰქონდა ადგილი როგორც რუსეთის, ისე ჩვენს სინამდვილეში.

„კომუნის“ იდეის ასეთ დამახინჯებასთან საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა საკმაოდ დიდი ბრძოლის წარმოება. მან გააუქმა საეჭვო ხასიათის კომუნები, ის უფრო ფრთხილად მოეკიდება სასოფლო სამეურნეო კომუნების წესდების დამტკიცებას და მათი მონაწილეთა ვინაობას; სასტიკი კონტროლი იქნა დაწესებული „კომუნების“ მუშაობაზე და სხვ.

ამ გარემოებამ ყოველგვარი საშუალება წაართვა სოფლის მემამულეთ და კომბინატორებს „კომუნის“ შინაარსის დამახინჯების და მისი საშუალებით თავიანთი ძველი მდგომარეობის შენარჩუნების.

ამ გარემოებამ მოსპო მოჩვენებითი, quasi—კომუნების არსებობის და გამრავლების შესაძლებლობა.

მაგრამ ამავე დროს შენელდა იდეური მოტივებით გამოწვეულ „კომუნების“ ზრდაც. აქ უეჭველად დიდი როლი ითამაშა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომელმაც კვლავ გააღვივა წვრილ-ბურჟუაზიული და მესაკუთრეობის მისწრაფებანი.

ნამდვილი სასოფლო-სამეურნეო კომუნების იდეის პოპულარიზაციას, მათი მოწყობის საქმეს ჩვენ კვლავ უნდა მივაქციოთ სერიოზული ყურადღება.

დღეს ჩვენში წამოყენებულია ლოზუნგი მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირების. მშრომელი მასსის თავმოყრა სამეურნეო კომუნებში ერთ-ერთი ფორმაა ასეთი შეკავშირების.

წვრილ ბურჟუაზიული სტიქიის მოზღვავების პირობებში განსაკუთრებით საჭიროა მშრომელ მასსების ამხანაგური თანამშრომლობის პრაქტიკულად განხორციელება, სოციალური გრძნობების პრაქტიკულად განვითარება და განმტკიცება. სასოფლო სამეურნეო კომუნები ამისათვის საუკეთესო სკოლა იქნება.

ჩვენ აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ერთი ადგილი იმ კორესპონდენციიდან, რომელიც მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის 12 ივლისის ნომერში (158). სოფელ ბჟოლიეთში (გურია) არსებობს სასოფლო-სამეურნეო კომუნა. კორესპონდენტი მის წევრთა მუშაობას ასე აგვიწერს:

„დაისვა (მიწის) დამუშავების საკითხი; ეთხმად იქნა დადგენილი მიწების დამუშავება კოლექტიურად. ერთ დღეს მართლაც არა ჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა ჩვენი სოფელი. შეიარაღებული თოხით და ბარით, სამასამდე ქალი და კაცი შეუდგა საერთო მიწების დამუშავებას. გაოცებული რჩება კაცი, როცა ამ სურათს უყურებს. წინ წითელი დროშა ფრიალებს, რომელიც ერთ თეთრწვერა მოხუცს უკავია და ის მხნედ განაგრძობს გურულ „ნადურს“, დანარჩენები კი ბანს აძლევენ. მიდის გაცხოველებული მუშაობა. საღამოს იმართება ცეკვა-თამაში, საერთო მხიარულებას საზღვარი არა აქვს“.

ასეთი გზით ხალხი ეჩვევა საერთო შრომას, ითვისებს კოლექტივისტურ პსიქოლოგიას.

მაგრამ „კომუნის“ ღირებულება ხალხის არა მარტო ასეთ პსიქოლოგიურ გარდაქმნაში მდგომარეობს. მას აქვს უდიდესი მატერიალური მნიშვნელობაც.

„კომუნაში“ დარაზმულ მასსებს საერთო ძალღონით უკეთ და უფრო ადვილად შეუძლიათ მიწის დამუშავება, ამისათვის საჭირო იარაღების და მასალების შეძენა, სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა და სხვა.

აქ თვალსაჩინოდ აშკარავდება უპირატესობა კოლექტიურ მეურნეობისა კერძო მეურნეობაზე.

საჭიროა მთავრობამ ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ასეთ ამხანაგობებს. და ის კიდეც ასე იქცევა.

საჭიროა პარტორგანიზაციებმა, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებმა ფართე პროპაგანდა გასწიონ სასოფლო-სამეურნეო კომუნების სასარგებლოდ და ხელი შეუწყონ მათ გავრცელებას.

ასეთ კომუნებს აქვთ უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ისინი აგრეთვე საგრძნობ სამსახურს გაუწევენ მშრომელ მასსებს მათი ნივთიერი კეთილდღეობის აწევის საქმეში.

ამიტომ, ვიმეორებთ, სასოფლო-სამეურნეო კომუნების მოწყობის და მათში ხალხის ჩაბმის საკითხს უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება.

# საეკონომიო-საფინანსო წერილები

(იხ. კომუნისტი № 157)

II

## სახალხო ბანკი და მისი როლი

1921 წ. 1 სექტემბრიდან თბილისში მოქმედობს სახალხო ბანკი, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება: ეს ბანკი უშუალოთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ემორჩილება.

ამ ბანკის დანიშნულებას შეადგენს სახელმწიფოს ფინანსიური ოპერაციები, საზღვარ-გარეთთან საანგარიშო ურთიერთობის მოგვარება, ფულის ტრიალის რეგულიაცია, სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებისათვის და წარმოებათათვის სესხის მიცემა და საერთოთ ყოველგვარი საბანკო ოპერაციების წარმოება.

სახალხო ბანკი de facto არის საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკი და რესპუბლიკის მიერ მას მრავალგვარი დავალება აქვს დაკისრებული. ის, სხვათა შორის, იღებს გადასახადებს, ასრულებს ხაზინის როლს, ინახავს რესპუბლიკის განძეულობას: ოქროს, ვერცხლს, ძვირფას ქვებს და სხვა ღირებულებებს.

1923 წ. სახალხო ბანკის მოვალეობებს მიემატა ერთი კიდევ ფრიად მნიშვნელოვანი ფუნქცია: ეს არის ხელმძღვანელობა საჰიპოტეკო განყოფილების თბილისსა და ქუთაისში. ეს ნაბიჯი გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ რესპუბლიკას დაუბრუნდეს ის სესხი, რომელიც გაცემული იყო თბილისის და ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკებიდან და თბილისის საკრედიტო საზოგადოებიდან. თბილისში და ქუთაისში საჰიპოტეკო ბანკები უკვე მუშაობენ და ფულიც გროვდება.

სახალხო ბანკს საქართველოს ტერიტორიაზე დაევალა ყველა ბანკების ლიკვიდაციის მოხდენა; მათი რიცხვი საქართველოში ადიოდა ორმოცამდე და მათი ქონების ანგარიშის მოწესრიგება, გამოკვლევა და ლიკვიდაცია ძალიან ძნელი და რთული საქმეა. სახალხო ბანკი დღეს ამ საქმეს აწარმოებს.

სახალხო ბანკის მოღვაწეობის ერთი ფრიად საყურადღებო მომენტათ უნდა ჩაითვალოს საქართველოში დაგროვილ საბჭოთა ფულის ნიშნების მის მიერ უმტკივნეულად ქართულ ბონებზე გადახურდავება. 1921 წ. ნოემბრის დასაწყისიდან, როდესაც საბჭოთა ფულის ნიშნები საქართველოში გათანასწორებულ იქნენ ქართულ ბონებთან ჩვენი ბონების. ღირებულება დაეცა და ცხოვრება მეტად გაძვირდა. როგორც აუცილებელი შედეგი რუსული ფულის ნიშნების მოზღვავებისა საქართველოს ტერიტორიაზე, ამ მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ საბჭოთა ფულის ნიშნებზე 1922 წ. თებერვალში თავისუფალი კურსი გამოცხადდა, რის წყალობით ბონების მდგომარეობა შეიცვალა, და ქართული და რუსული ბონები ჩადგენ თავ-თავიანთ კალაპოტებში: პირველმა აიწია და თავისი ალაგი დაიკავა, მეორე კი დავარდა. სამართლიანობა მოითხოვდა, რომ საქართველოს მთავრობას მიეღო ზომები, რათა ყველა საბჭოთა დაწესებულებები და მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც იძულებული იყვნენ აეღოთ რუსული ბონები, არ დაზარალებულიყვნენ ამ ბონების კურსის დაცემის გამო. სახალხო ბანკმა ამ ერთგვარი ფინანსიური განცდის ხანაში ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა: მას აღმოაჩნდა მაშინ საკმარისი თანხა ქართული ბონებისა, რომელიც ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს და პირებს რუსული ბონების სამაგიეროთ დაურიგდა.

ქართული ბონების არსებობაში დადგა ახალი ხანა, მასზე დიდ გავლენას ახდენდა ახალი ფაქტორები, და აუცილებელი შეიქნა **ერთგვარი სავალუტო პოლიტიკის წარმოება**, რომ ქართული ბონები სპეკულიატიური ჭიდილის მსხვერპლად არ გამხდარიყო. ამ ჭიდილში საჭირო იყო შედარებით მძლავრი სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულების ჩარევა. მაგრამ ლეგალურათ და ფართოდ ამ ჭიდილში ჩარევა შეიძლებოდა მხოლოდ ლეგალური ბირჟის საშუალებით; ამ მოსაზრებით საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი 1922 წ. თებერვალში აარსებს თბილისში სავალიუტო ბირჟას, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა სახალხო ბანკს. სახალხო ბანკმა დიდი აქტივობა გამოიჩინა ამ მისთვის ახალი და საერთოდ რთულ საბანკო-საფინანსო ბრძოლაში და კარგათაც შეასრულა თავისი მოვალეობა. ბირჟაზე მის ინტერვენციამ (ჩარევამ) ჩვენი ბონების კურსის სტაბილიზაციას (ერთ დონეზე გამაგრებას) დიდათ შეუწყო ხელი. 1922 წ. თებერვლის უკანასკნელი რიცხვებიდან ნოემბრის პირველ რიცხვებამდე ქართული ბონების კურსი თითქმის სრულიად ურყევლად იდგა: ათი მანეთიანი ოქრო ერთ მილიონ ქართულ ბონებს უდრიდა. ეს იყო საშუალო ოფიციალური ციფრი, რომელიც თავისუფალი ბირჟის ციფრებიდან ძალიან ცოტათი განსხვავდებოდა.

1922 წ. ოქტომბერში გამოირკვა, რომ 1923 წ. პირველ იანვრიდან ქარბონები ამიერ-კავკასიის ბონებით შეიცვლებოდა. ამ დროიდან სახალხო ბანკის საბირჟო მუშაობაზე თან და თან ხელს იღებს, და ბირჟის ხელმძღვანელობა გადადის სახელმწიფო ბანკის ხელში, რომელმაც სექტემბერ ოქტომბერში დაიწყო მუშაობა ტფილისში.

დიდი ყურადღების ღირსია სახალხო ბანკის მიერ გამოშვებული **ვალდებულებები**, რომელიც, თანახმად საქართვ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვისა (23 აპრილი 1922 წ.), გამოიცა: 100 ათ.. 500 ათ., 1 მილიონის და 5 მილიონის ღირებულების სახით, სულ 238,5 მილიარდი მან. ბანკის ვალდებულებების დანიშნულება იყო ბანკსა და მის კლიენტებს შორის და აგრეთვე აღებ-მიცემობაში ანგარიშების გასწორების გაადვილება და ბონის დიდი კუპიურების გამოცემის თავიდან აცდენა. სახალხო ბანკის იმედები ზედმიწევნით გამართლდა. სახალხო ბანკის ვალდებულებებს დიდის ნდობით შეეგება საზოგადოება; ამ ქაღალდზე ლაგიც იყო (ბონებზე მაღლა ფასდებოდა) და ის ტრიალებდა როგორც ფულის ნიშანი.

ეს ფაქტი ჩვენს ცხოვრებაში ფრიად საგულისხმოა. ეს ცდა არ უნდა მივავიწყდეს; მისი გამოყენება უფრო ფართოდაც შეიძლება.

სახალხო ბანკი შედარებით ფართოთ აწარმოებს ვაჭრობასაც თავის სავაჭრო განყოფილების საშვალებით, რომელიც დაარსდა 1922 წ. 1 აგვისტოს. სახალხო ბანკს, ვაჭრობის უფლების მინიჭებასთან ერთად, სახელმწიფოსაგან სარეალიზაციოთ გადაეცა მრავალი უპატრონო და ნაციონალიზაციის წესით ჩამორთმეული ქონება. მთავრობა წმინდა მოგებიდან იღებს 50 პროც.

ამ მოკლე აღნუსხვიდან აშკარად სჩანს, თუ რა დიდი და რამდენად მრავალგვარი მოვალეობა რესპუბლიკის ფარგლებში აქვს დაკისრებული სახალხო ბანკს, როგორც ცენტრალურ საფინანსო დაწესებულებას: საქართველოს მთავრობის დავალებით ერთი მხრით ის ასრულებს ოფიციალური, სახელმწიფო ხასიათის საფინანსო ფუნქციებს, მეორე მხრით ის, მზგავსათ რუსეთის სახელმწიფო ბანკისა, აწარმოებს საქონლით ვაჭრობას. ამავე დროს სახალხო ბანკი ერთად-ერთი საკრედიტო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო, საკოოპერაციო და კერძო ვაჭრობა-მრეწველობას მთელი თავის ძალ-ღონეს, თავის უნარიანობას და საკრედიტო საშვალებას **ხავხებით** ანდომებს.

სახელმწიფოს და ვაჭრობა-მრეწველობის წინაშე თავის მოვალეობის ფართოთ და პირნათლათ შესრულების მოსახერხებლათ და გასაადვილებლათ, სახალხო ბანკმა ფრიად მძიმე პირობებში ერთი წლის განმავალობაში (1922 წ.) საქართველოს სხვა და სხვა ნაწილში ხუთი განყოფილება გახსნა. ეს განყოფილებები არიან: ბათომსა, ქუთაისსა, ფოთსა ჭიათურასსა და სოხუმში; 1923 წელსაც, კიდევ უფრო მძიმე პირობებში, ის მაინც ისევ განაგრძობს თავის საორგანიზაციო მოღვაწეობას: მან კიდევ გახსნა განყოფილება სიღნაღში; გარდა ამისა განზრახულია სხვაგანაც განყოფილებების გახსნა.

სახალხო ბანკი ჩვენი ეკონომიური მოთხოვნილებათა და ფინანსიური ძალების კონცენტრაციის გამომხატველია; ჩვენი ეკონომიურად და ფინანსიურად დაუძლურების ხანაში წარმოიშვა საკუთარი საფინანსო ცენტრის შექმნის აუცილებლობა, და ასეთი ცენტრი დაარსდა და მოქმედობს დღეს საქართველოში სახალხო ბანკის სახით.

**მეგობარი.**

(მეორე წერილის დასასრული შემდეგ №-ში)

# ამხ. კამოს ხსოვნას

## ამხ. კამო

წელიწადი შესრულდა, რაც გამარჯვებულ პროლეტარიატის ძლევამოსილ რიგებს გამოაკლდა ერთი საუკეთესო გმირი-მებრძოლი ამხ. კამო. კომპარტიამ დამუშათა კლასმა მეფის თვითმპყრობელობასთან და ფეოდალურ-ბურჟუაზიულ კლასებთან ბრძოლაში, ბევრი მსხვერპლი გაიღეს, ბევრი თავდადებული მებრძოლი დაჰკარგეს, მაგრამ კამოს დაკარგვა შეიძლება უდიდესი და უმძიმესი იყოს, ამიერ-კავკასიის მასშტაბით მაინც. მწუხარებას, რომელსაც გრძნობს მუშათა კლასი მით უფრო მძიმეა, რომ მრავალ ბრძოლის ქარცეცხლში გავლილი ძველი რევოლიუციონერი დაიღუპა უბედური, უაზრო და მოულოდნელი შემთხვევით.

ამხ. კამო

ამხ. კამო (სიმონ პეტროსიანცი) პროლეტარულ რევოლიუციის მებრძოლთა რიგებში ჩადგა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც მუშათა მოძრაობა ახალი ჩასახული იყო და თანდათან მაღლა იწევდა. თავიდანვე ის უმთავრესად ტეხნიკურ ხასიათის მუშაობას ასრულებდა, როგორც გადაგზავნა, დაბეჭდვა არალეგალური ლიტერატურისა, მოწყობა საიდუმლო სტამბისა და სხვა. 1905 წლიდან პროლეტარიატის ბრძოლაში ახალი ეპოქა იწყება, ხანა მუშათა კლასის შეიარაღებულ ბრძოლისა, ამხ. კამოც ყველგან და ყოველთვის ამ ბრძოლის მთავარი მონაწილე და ხელმძღვანელია. მას მუდამ იარაღის საიდუმლო საწყობებთან აქვს საქმე, ის თვითონაც ახერხებს ასაფეთქებელ ნივთიერებათა დ ბრძოლისთვის საჭირო ზოგიერთ სხვა იარაღების დამზადებას. ის მუდამ იქ არის, სადაც მეტი საპასუხისმგებლო და საშიშარი საქმეა როგორც საუკეთესო ორგანიზატორი და შემსრულებელი ყოველგვარი კონსპირატიული დავალებისა. დაუვიწყარია ამხ. კამოს მიერ სხვა ამხანაგებთან ერთად 1905 წელში ნაძალადევში კაზაკებთან შეტაკების მოწყობა, რომელიც ტფილისის პროლეტარიატის ერთ საუკეთესო გამოსვლათ უნდა ჩაითვალოს მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში. ამ შეტაკების შემდეგ კამო დატუსაღებულ იქნა, მაგრამ თავისი გამჭრიახობით და დაუჯერებელი გონება მახვილობით, სისულელის მოგონებით იგი ახერხებს ჟანდარმების ხელიდან დასხლტას და ისევ რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩაბმას.

1907 წელს მთელი რუსეთის სივრცეზე საშინელი რეაქცია მძვინვარებდა, მეტად ძნელი იყო უჩაში რეაქციონურ ძალებთან აშკარა შეტაკების მოწყობა. მაგრამ კამოსთვის საშიშარი საქმე არ არსებობდა, განსაცდელი მას არ აშინებდა, ის მუდამ ხუმრობით და სიხარულით მიეშურებოდა იქითკენ; იმავე დროს მას ყოველი წვრილმანი, რაც საჭირო იყო საქმის გამარჯვებისათვის, არ დაავიწყდებოდა მხედველობაში მისაღებათ. კამომ მოახერხა ერევნის მოედანზე 1907 წელში ამხანაგების შედარებით მცირე რიცხოვან ჯგუფთან ერთად ფოსტაზე თავდასხმა, სრული არევ-დარევის შეტანა ფოსტის დამცველთა რაზმში და გატაცება 250,000 მანეთის. ამ ოპერაციას რევოლიუციონერთა მხრიდან არავითარი მსხვერპლი არ მოყოლია.

ამ გმირულმა მოქმედებამ დიდი არევ-დარევა შეიტანა მტრის ბანაკში, საზღაპრო გმირის სახელი მოუპოვა ამხ. კამოს. ერევნის მოედანზე ექსპროპრიაციით ნაშოვნი ფული საკმაო დიდ საშუალებას იძლეოდა რევოლიუციონურ ბრძოლის გასაგრძელებლად ამ შავბნელ რეაქციის დროს. კამო ამის შემდეგაც სულ მუდამ ასეთ სახიფათო საქმეების ორგანიზატორია, იქნება ის საზღვარგარეთ, თუ მეფის რუსეთის საზღვრებში. ბერლინის პოლიცია ატუსაღებს მას და, როგორც უდიდეს დამნაშავეს, მასთან დაჭერილი ცნობებით და მასალებით აძლევს რუსეთის მთავრობას. კამო მეტეხის ციხეშია, წამოუდგენელია მისი სიკვდილით დასჯიდან გადარჩენა, ბრალდებები მის წინააღმდეგ ერთმანეთზე საშინელია, მისი ხსნა შეუძლებელია საბედნიეროდ ის ციხიდან გაქცევას ახერხებს. კამო მიეშურება საზღვარ-გარეთ, საიდანაც ისევ საქართველოსკენ ბრუნდება და მალე მეტეხის ციხეში ამოყოფს თავს. მას ბედი აქაც სწყალობს, თუმცა სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მაგრამ ამნისტიის ძალით სიკვდილით დასჯა 20 წლის კატორღით შეუცვალეს.

1917 წლის რევოლიუცია ანთავისუფლებს მას ციხიდან და ის კვლავ თავის ამხანაგთა წრეში განაგრძობს მუშაობას.

კამო იყო საუკეთესო კონსპირატორი და არალეგალური მუშაკი და ლეგალურ მუშაობისთვის მოწყობა ძნელად ეხერხებოდა. ოქტომბრის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვების შემდეგ, ის თავის ახალ დანიშნულების ძიებაშია და ვინ იცის რა დიდ სამსახურს გაუწევდა მომავალშიც პროლეტარიატის საქმეს, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ უდროოდ მოუსწრაფა სიცოცხლე და მოაცილა მებრძოლ პროლეტარიატის რიგებს. გასული წლის 15 ივლისს ვერის დაღმართზე ველოსიპედით მიმგზავრების დროს მას დაეტაკა ავტომობილი და გონზე მოუსვლელად ორი საათის განმავლობაში ის სამუდამოთ გამოესალმა სიცოცხლეს.

კამოს ბიოგრაფიის მოკლე საგაზეთო წერილში მოთავსება შეუძლებელია, მისი რევოლიუციონური მუშაო-ბისა. ბის სხვა და სხვა ეტაპები ისეთ პირობებში და ადგილებში ხდებოდა, რომ მათი შეკრება დიდ სიძნელეს წარმოადგენს თუმცა იგი დიდად საინტერესო იქნებოდა, როგორც მისი თანამებრძოლი ამხანაგებისთვის, ისე ახალი მოზარდი რევოლიუციონური თაობისთვის. მისი პიროვნება იმდენად ცნობილი იყო, როგორც ჩვენში, ისე რუსეთში და საზღვარ გარედ, რომ იგი პროლეტარულ რევოლიუციის ისტორიის საუკეთესო ფურცლებს სამუდამოდ დაამშვენებს და მისი ყოველი წვრილმანი „პატარა საქმე“, როგორც ის იტყოდა ხოლმე, განცვიფრებაში და აღტაცებაში მოიყვანს მუშათა კლასის მრავალ თაობებს.

პროლეტარიატის მასიურ მოძრაობას ჰყავს მრავალი გმირები, რომლებიც საუკეთესოდ ანსახიერებენ ამ კლასის მისწრაფებებს, რკინისებურ სიმტკიცეს და ნებისყოფას. ამხანაგი კამო მათ რიცხვში ერთ საუკეთესო ადგილს დაიკავებს და რა დიდებული გმირებიც არ უნდა წარმოშვას პროლეტარიატის მომავალმა საერთაშორისო რევოლიუციამ კამოს ღვაწლს და ნათელ სახეს ისინი მაინც ვერ დაჩრდილავენ.

ლმობიერებით და უსაზღვრო სიყვარულით აღსავსე, მას მწერიც კი ებრალებოდა, მაგრამ ის შეუბრალებელი იყო მჩაგვრელი ბურჟუაზიის და მეფის თვითმპყრობელის აგენტების მიმართ, რამდენადაც ეს საჭირო იყო რევოლიუციის გამარჯვებისთვის.

ჩვენს პარტიას, რომელიც დახავსებულ კლასების და წესწყობილების ბრძოლის დასაწყისიდანვე იკრებდა თავის გარშემო ასეთ პირებს, როგორიც იყო ამხანაგი კამო შეუძლია იამაყოს თავისი წარსული ბრძოლით და დიადი სამსახურით განთავისუფლებული მუშათა კლასის წინაშე.

მუშათა კლასი უსაზღვრო გლოვით და მწუხარებით გამოემშვიდობა ამხანაგ კამოს ცხედარს, რომელიც დასაფლავებულ იქნა პუშკინის ყოფილ ბაღში. სულიერათ კი ის მასთან და მის გმირულ რევოლიუციონურ მუშაობასთან კავშირს არასოდეს არ გასწყვეტს და უკვდავყოფს მის ბრწყინვალე ხსოვნას.

კამოს ღვაწლის უსაზღვრო პატივისცემის ნიშნად, მის სახელობაზე საქართველოში, დაარსებულია მთელი რიგი საბავშვო სახლებისა, რომლებშიც იზრდებიან ღარიბ ღატაკთა შვილები, ვისთვისაც თავი დასდო განსვენებულმა ამხანაგმა. მალე ამხ. კამოს საფლავს დაამშვენებს მოქანდაკე ნიკოლაძის მიერ შესრულებული ძეგლი.

დღეს 15 ივლისს, კამოს გარდაცვალების წლის თავზე მუშათა კლასი მოიგონებს რევოლიუციის უდროოთ დაღუპული გმირის ბრწყინვალე ხსოვნას და მოუწოდებს ახალ თაობებს სამაგალითოდ გაიხადონ კამოს 20 წლის თავდადებული ბრძოლა კომუნიზმის სრულ გამარჯვებისათვის.

## ამხ კამო ციხეში

(ამხ. ლ. სუხიშვილის მოგონება)

ამხ. კამო გავიცანი 1909 წელს ჩვენ მაშინ ერთად ვისხდით ტფილისის ციხეში. ეს სწორედ იმ დროს იყო, როდესაც ის თავს ისულელებდა, რომ როგორმე თავი დაეღწია ციხიდან და საგიჟეში გადაეყვანათ, საიდანაც უფრო ადვილი იყო გაქცევა, ჩემთან საუბრის დროს ამხ. კამო გამომიტყდა, რომ თავს განგებ ისულელებს და ისიც ამიხსნა, თუ რისთვის.

მეორეთაც მომიხდა ამხ. კამოსთან ერთად ციხეში ჯდომა. ეს იყო 1919 წელს, მენშევიკების დროს, როდესაც ამხ. კამომ მოახერხა გაპარვა, თხრილის გაყვანით.

ამის გარდა 1909 წელს არა ერთხელ შევხვედრივარ კამოს და მიმუშავნია მასთან ერთად.

კამო როგორც პიროვნება იყო იდეალური ადამიანი და პარტიის წევრი. მას სრულებით არ ჰქონდა კარიერისტული მიდრეკილება, ცხოვრობდა პირადი ინტერესების გარეშე და მხოლოდ ხალხისა და პარტიის ინტერესებზე ზრუნავდა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გავლენა, რომელიც მას ჰქონდა მასთან მომუშავე ამხანაგებზე. იმის გარდა რომ ის მაგალითს აძლევდა მათ თავისი ზნეობრივი და მორალური გავლენით ამხ. კამოს აღფრთოვანება შეჰქონდა მუშაობაში.

ეჭვს გარეშეა, რომ ამხ. კამოს სიკვდილი დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისია.

## ტფილისის აღმასკომისმუშაობა ამხ. კამოს სახელის უკვდავ საყოფად

ამხ. კამო გარდაიცვალა 1922 წლის 14 ივლისს ღამით. მისი სახელის აღსანიშნავათ 1922 წელს პრეზიდიუმის დადგენილებით, გარდაქმეული იქმნა ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა მის სახელობაზე, 23 დეკემბრის დადგენილებით პრეზიდიუმში დასმული და გადაწყვეტილი იქნა საკითხი ამხ. კამოს საფლავზე ძეგლის დადგმის შესახებ და გამოცხადდა პროექტის კონკურსი.

ა. | წ. 3 მარტს დანიშნული იქნა კომისია შემადგენლობით: სამხატვრო აკადემიის პროფესორების გ. ი. გაბაშვილის, თედორე გბრიხის, გრინევსკის და აღმასკომის პრეზიდიუმის წევრების: ამხ. კახიანის, მესხის, ღლონტის, რუხაძის, თაქთაქიშვილის ელენტის და მინასიანცის, რომელმაც განიხილა ამხ. კამოს ძეგლის პროექტები, წარმოდგენილი შემდეგ დივიზებით, „მოსკოველი“ „ქვის მტეხელი,“ „ევკა,“ „ტერორი,“ „წითელი გვირგვინი,“ „ჩაქუჩი“ და „ომაკ“ ყველა წარმოდგენილი პროექტებიდან კომპოზიციისა და ჩაქსოვილი იდეის მიხედვით და აგრეთვე თავის ტეხნიკური თვისებებით ყველაზე უფრო მისაღები იქმნა ნამუშევარი „ომაკის“ დივიზის წოდებით მისიამ სცნო დაჯილდოვებია პირველი ხარისხის ჯილდოთი აღნიშნული პროექტები მისი ავტორია სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. „ომაკის“ ძეგლის ისკიზი გამოსახავს ამხ. კამოს იმ დროს, როდესაც ის იბრძვის პროლეტარიატის გასანთავისუფლებლათ; უკან მისდევენ თავის ბელადს მუშები, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ თავის ერთ-ერთ წინამძღოლთაგან. კვარცხლბეკზე გამოხატულია მაღარო, სადაც განსახიერებულია უდიდესი ღრმა მძიმე მუშაობა. კვარცხლბეკზე სხვა და სხვა ემბლემების დეკორატიული გამოსახვა შეიძლება შეთანხმებით დამუშავდეს. ძეგლის სიმაღლე ოთხ არშინ ნახევარია.

გარდა ამისა აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების მიერ ამხ. კამოს სახელი უწოდა წყნეთის მე-9 რე საბავშო სახლს.



ამხ. კამოს ძეგლის პროექტი

# ძველი ოჯახიდან ახლისაკენ

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 13 ივლისი. „პრავდა“-ში მოთავსებულია ამხ. ტროცკის წერილი „ძველი ოჯახიდან ახლისაკენ“. (გამოტოვებულია).

„ის, რაც არსებობდა მეფის ბატონობის წყალობით ძველი ადათ-ჩვეულება, დაინგრა. რევოლიუციამ უპირველესად ააშენა ახალი სახელმწიფო. ჩვენც ახლები ვართ. და ახალს ვაშენებთ. ნგრევის ხანაში ჩვენი მეურნეობა უკან დავტოვეთ, ეხლა კი წელში ვიმართებით. ჯერ ძალიან ნაკლები წარმატება გვაქვს, მაგრამ ნგრევისა და პარტახის ხანას უკვე გავცილდით. ოჯახური ყოფა-მდგომარეობის მხრივ პირველი ნგრევის ხანა ჯერ არ დასრულებულა, ნგრევა ჯერ კიდევ ჩქარის ტემპით მიდის. პოლიტიკურსა და ეკონომიურს დარგში მუშათა კლასი გაერთიანებულად მოქმედობს და ამიტომ პირველ რიგში გამოჰყავს თავისი ავანგარდი—კომუნისტური პარტია და მისი საშუალებით ანხორციელებს თავის ისტორიულს დანიშნულებას. ოჯახისა და საერთოდ ყოველდღიური ცხოვრების ძირიან-ბუდიანათ გადახალისებას სჭირდება მუშათა კლასის შეგნებული ნებისყოფა. ნამდვილი თანასწორობის დამყარება კაცსა და ქალს შორის ოჯახში—აი უზომოდ ძნელი ამოცანა, რომელსაც სჭირდება უდიდესი თავდადება და ენერგია, მიმართული ჩვენ ყოფა-მდგომარეობაში რევოლიუციონური სულის შესატანათ.

შემდეგ ამხ. ტროცკი აშუქებს რა ფაქტებით ძველი ოჯახური ზნე-ჩვეულების ნგრევას, სვამს საკითხს: მზადდება თუ არა ახალი ოჯახის ელემენტები? — დ უპასუხებს: „უსათუოდ“. „მაგრამ საჭიროა გავერკვიოთ ამ ელემენტების ბუნებაში და მათი ჩამოყალიბების პროცესში. მუშათა კლასის კულტურული ზრდა ჩვენთვის ნიშნავს პიროვნების განვითარებას და მის მოთხოვნილებათა დონის ამაღლებას. ამ თვალსაზრისით, რევოლიუცია, რა თქმა უნდა თავისთავად უდიდესი წინსვლაა დ ოჯახის დაშლის თვით მძიმე მოვლენები არიან იგივე პიროვნების გაღვიძება მხოლოდ მტკივნეულ ფორმაში გამოხატული. ჩვენი კულტურული მოღვაწეობა, ამ თვალსაზრისით არის მომზადება ახალი ურთიერთობისა ახალი ოჯახისათვის. თუ არ ამაღლდება მუშა ქალისა და კაცის პიროვნული კულტურობა, ვერ შეიქმნება ახალი, უფრო მაღალი ოჯახი. ახალი ყოფა-მდგომარეობის, ადათ-ჩვეულებების ახალი ოჯახის მომზადება საქმე არ შეიძლება გამოყოფილი იქნას სოციალისტურ აღმშენებლობის საერთო მუშაობიდან. ოჯახური მეურნეობის განსაზოგადოება და ბავშვების აღზრდა წარმოუდგენელია, თუ არ განვასაზოგადოებთ მთელს ჩვენს მეურნეობას. ახალი ოჯახის შესაქმნელად მისი გზა არის: კულტურული აღზრდა კლასისა და პიროვნებისა და ნივთიერი უზრუნველყოფა კლასისა“.

# რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

## რუსეთი და საფრანგეთი

### რუსეთის გემების საკითხი
### პუანკარეს საპასუხო ნოტა

**მოსკოვი.** 13 ივლისი. საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პუანკარემ მიმართა გარეშე საქმეთა სახ. კომისარს ამხ. ჩიჩერინს შემდეგი ნოტით: „რუსეთის 9 ივლისის ნოტის პასუხად, საფრანგეთის მთავრობა იმეორებს, რომ მას ჩამოურთმევია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემები, მან მხოლოდ თავი შეაფარებია ამ გემებს საფრანგეთის ნავთსადგურებში. საბჭოთა მთავრობას, როგორც არ ცნობილს, არ აქვს უფლება მოითხოვოს გემების დაბრუნება. საფრანგეთის მთავრობას არ აქვს განზრახული ხელი შეუშალოს სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას საფრანგეთსა და რუსეთს შორის და რუსეთის მოქალაქეებს შეუძლიათ უშიშრათ აწარმოვონ საფრანგეთთან სავაჭრო საქმეები.

საფრანგეთის აზრით, რუსეთის ორგანიზაციები, რომელთაც მონოპოლია გამოაცხადეს რუსეთის საგარეო ვაჭრობაზე, არ ქონდათ რა ამის უფლება, საფრანგეთს მიაჩნია კერძო ორგანიზაციებათ, მათ მიერ საფრანგეთში შეტანილი საქონელი ექვემდებარება საერთო წესს და შეიძლება კონფისკაციით იქნას ჩამორთმეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირები დაამტკიცებენ ამ საქონლის მესაკუთრეების უფლებას.

საფრანგეთის მთავრობამ საჭიროთ სცნო მიეცა ეს განმარტებანი რუსეთის ხალხისადმი თავის მეგობრულ განწყობილების დასამტკიცებლად.

## საბჭოთა რუსეთის ცნობის გარშემო

**ტოკიო.** 12 ივლისი. პარტია „კენსეკაი“-ს ბელადი კატო დაჟინებით მოითხოვს, რომ ამერიკასთან შეთანხმებით იქნეს გადაჭრილი საკითხი საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ.

## რუსეთი და სპარსეთი

**თეირანი.** 1 ივლ. ამხ. შუმიაცკის შაჰს გადასცა რწმუნების სიგელი. შაჰის სასახლეში ამხ. შუმიანსკის შეეგება გვარდიის კორპუსის საპატიო ყარაული. ორკესტრი უკრავდა „ინტერნაციონალს“.

ამხ. შუმიანსკიმ თავის სიტყვაში აღნიშნა სპარსეთის მთავრობის ღვაწლი რუსეთთან დაახლოვების საქმეში და იმედი გამოსთქვა, რომ მალე დაიდება რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო ხელშეკრულებაო.

## მცირე ანტანტა

### თათბირობენ.

**ბერლინი.** 10 ივლისი. მცირე ანტანტის სახელმწიფოთა სინაის კონფერენცია, უნდა ვიფიქროთ, შესდგება აგვისტოს დამდეგში. კონფერენცია უმთავრესად შეეხება იმ საკითხების განხილვას, რომელთა საშუალებით შეიქმნება მთლიანი მოქმედების ხაზი საბჭოთა რუსეთისადმი. სინაის კონფერენციაზე პოლონეთი არ იქნება წარმოდგენილი, რადგანაც საფრანგეთმა ვერ შესძლო პოლონეთსა და ჩეხო-სლოვაკიის შორის არსებულ უთანხმოების მოსპობა. რუმინეთის მემარცხენე პრესა არაფერს კარგს არ მოელის კონფერენციიდან. „ადვერული“ აღნიშნავს, რომ ძალიან ცოტაა იმედები იმის შესახებ, რომ მიღწეული იქნეს შეთანხმება რუსეთის მიმართ, რადგანაც საეჭვოა, რომ სამხრეთ სლავია და ჩეხო-სლოვაკიამ, მხარი დაუჭირონ პოლონეთს ანტისაბჭოთა პოლიტიკაში. ყოველ შემთხვევაში ისინი არ მისცემენ არც ერთ ჯარისკაცს რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედებისათვის.

## ლოზანას კონფერენცია

### ახალი კონფლიქტი.

**ბერლინი.** 14 ივლისი. მოკავშირეთა და ოსმალეთის დელეგატთა შორის მომხდარ კონფლიქტის გამო, დამატებით იტყობინებიან: როდესაც მოკავშირეთა დელეგატები სხდომას ხტოვებდენ, განაცხადეს რომ ყველა ის დათმობანი, რომელზედაც მოკავშირეთა მთავრობები წავიდენ ოსმალეთის მიმართ უკანვე იქნება წაღებული თუ ოსმალები კვლავ უარს იტყვიან მოკავშირეთათვის ქვანახშირის, ნავთის და რკინის გზის კონცესიების მიცემაზე. ოსმალებმა განაცხადეს, რომ ეს მოთხოვნილებანი მიუღებელია ოსმალეთისათვის, რადგანას ოსმალეთის სუვერენობაც არღვევს.

**პარიზი.** 14 ივლისი. მოკავშირეთა დელეგაციებმა თავ თავის მთავრობებს აცნო კონფერენციაზე შექმნილი მდგომარეობა, რომელიც დაკავშირებულია საკონცესიო საკითხებთან.

## საკონტრიბუციო საკითხი

### ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა.

**ლონდონი.** 11 ივლისი. ლონდონის სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, საფრანგეთის პოლიტიკა მიმართულია ინგლისთან კავშირის გამაგრებისაკენ. საფრანგეთი ფიქრობს, რომ ევროპის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ორივე სახელმწიფოთა შეთანხმებული მოქმედებით. საფრანგეთს საკმაოდ მდიდრად მიაჩნია გერმანია, სარეპარაციო ვალების გადასახდელად. საფრანგეთს აფიქრებს, რომ გერმანია შინაური სისხის გასტუმრების შემდეგ, უფრო უკეთეს მდგომარეობაში იქნება ვიდრე საფრანგეთი და ინგლისი.

### ინგლისი და ამერიკა.

**ნიუ-იორკი.** 11 ივლისი. ლონდონიდან მიღებულმა ცნობამ, თითქოს ბალდვინს წინადადება მიეცეს ამერიკისათვის საერთაშორისო კომისიის შედგენის შესახებ გერმანიის გადახდის უნარიანობის გამოსარკვევათ აქ დიდი ინტერესი გამოიწვია. ვაშინგტონში ამბობენ, რომ თუ ინგლისი ამ გზას დაადგება, მისთვის უზრუნველყოფილია ამერიკის ფართო თანამშრომლობა.

### პუანკარეს პასუხი.

**პარიზი.** 13 ივლისი. დღეს მინისტრთა საბჭოში პუანკარეს განზრახვა აქვს თავისი აზრი გამოსთქვას ინგლისის დეკლარაციაში გამოთქმულ სურვილების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ. პუანკარემ განაცხადა, რომ დეკლარაციის მიღება ხელს არ შეუშლის საფრანგეთ-ინგლისის მოლაპარაკების წარმოებას და ინგლისთან შეთანხმებასო.

### ბენეშის შუამავლობა.

**რომი.** 13 ივლისი. ბენეშის, რომელმაც იკისრა შუამავლობა საფრანგეთსა და ინგლისის შორის საკონტრიბუციო საკითხის გამო მომხდარ კონფლიქტში—მიიღო კერზონმა.

პარიზის გაზ. „ლიბრ. პაროლ“-ს სასაცილოდ მიაჩნია ბენეშის ცდა. გაზეთი სწერს: „კერძო კლიენტებისათვის თავისუფალი ოთახები არ გაგვაჩნია, რადგანაც საფრანგეთმა მტკიცედ გადასწყვიტა, უარჰყოს ყოველგვარი დათმობა“.

### ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტი.

**ლონდონი,** 12 ივლისი. მაკდონიალდის მიერ „დეილი ჰერლანდი“-ში მოთავსებულ წერილის გამო, რომელშიც გამოთქმულია შიში ინგლის-საფრანგეთის შორის მოსალოდნელ ომის შესახებ, ტრანსპორტის მუშათა კავშირის გენერალური მდივანი რობერტ ვილიამსი ამბობს, რომ საფრანგეთთან ომი დღეს სავსებით შესაძლებელია. მუშებმა უნდა მოაწყონ ნამდვილი დემოკრატიული დიპლომატია და დაამტკიცონ, რომ პუანკარეს იმდენათვე ნაკლები უფლება აქვს ილაპარაკოს საფრანგეთის სახელით, როგორც კერზონს—ილაპარაკოს ინგლისის სახელით.

## ოკუპაციის გარშემო

### რურის ოკუპაციის ნახევარი წლის თავზე

**ბერლინი.** 12 ივლ. 11 ივლისს შესრულდა ნახევარი წელიწადი რურში საფრანგეთის და ბელგიის ჯარების შესვლის დღიდან. გერმანიის პრესა აღნიშნავს, რომ ოკუპანტებმა ვერ მოახერხეს მცხოვრებთა დაუძლურება. პრესა იმედოვნებს, რომ მომავალში ოკუპანტები ვერ შესძლებენ მცხოვრებთა წინააღმდეგობის დაძლევას.

### დუისბურგის ამბების გარშემო

**ბერლინი.** 12 ივლ. დუისბურგში დააპატიმრეს ფრანგი და არგენტინელი, რომელთაც ბრალი ედებათ დუისბურგის თავდასხმის მოწყობაში.

დიუსბურგში სამხედრო წესები გაძლიერებულია იმის გამო, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებმა შეურაცყოფა მიაყენეს ფრანგების სადარაჯო რაზმს.

### ფრანგების რეპრესიები

**ბერლინი.** 12 ივლ: ფრანკფურტსა და დარმშტადის შორის ყველა სადგურები დაკავებულია ფრანგების ჯარებით, რის გამო ქალაქის განაპირა კუთხეებში მცხოვრები მუშები მოკლებულნი არიან საშუალებას მივიდნენ თავიანთ ფაბრიკებში. იტყობინებიან რეინსბანკის ბოხუმის განყოფილებაში 800 მილიონი მარკის კონფისკაციის შესახებ.

### ოკუპაციას აფართოებენ.

**ბერლინი,** 13 ივლისი. ხუთშაბათს დილით ფრანგებმა დაიჭირეს ლიმბურგი.

ოთხშაბათს ბელგიის დარაჯები თოფს უშენდენ ლიმბურგის სახლებს. მოკლულია ორი, დაჭრილი ბევრია.

## სხვადასხვა ამბები

### გერმანია
### რეინის რესპუბლიკა.

**ბერლინი.** 12 ივლისი. „კელნიშე ცეიტუნგ“ დიდის სიფრთხილით გადმოგვცემს ხმებს იმის შესახებ, რომ ფრანგებს ეროვნული დღესასწაულის დღეს, 14 ივლისს, განზრახული აქვთ გამოაცხადონ რეინის რესპუბლიკა.

### მუშათა რაზმები.

**ბერლინი.** 12 ივლისი. საქსონიის ლანდტაგში კომუნისტების მიერ შეტანილი წინადადება მუშათა რაზმების ადგილობრივ პოლიციასთან შეერთების შესახებ უარყოფილი იქნა ყველა ხმების უმრავლესობით, წინააღმდეგ კომუნისტებისა.

## აფრიკა

### ილტვიძებენ.

**ლონდონი.** 12 ივლისი. აფრიკის ნაციონალურმა კონგრესმა, რომელიც აერთებს ადგ. მცხოვრებთა რამოდენიმე პოლიტიკურ ორგანიზაციების წარმომადგენელთ, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ინგლისმა არ შეასრულა თავისი დაპირებანი ადგილობრივი მცხოვრებთა მიმართ. უკანასკნელნი ფიქრობენ, რომ უკვე მომწიფდა მომენტი, რომ განხილული იქნეს საკითხის სამხრეთ აფრიკის ინგლისის სამფლობელოებში რესპუბლიკის დაარსების შესახებ.

## იაპონია

### ანარხისტ ტაკაოს დასაფლავება.

**ტოკიო.** 12 ივლისი. ფაშისტების მიერ მოკლულ ანარხისტ ტაკაოს დასაფლავებას დაესწრო 1000-მდე მუშა.

### იაპონიის ფაშისტებს შორის.

**ტოკიო.** 12 ივლისი. ფაშისტთა 15 ორგანიზაციამ დაარსა სამხედრო საქმის შესწავლის და შეიარაღების პროპაგანდის ლიგა.

### საჰაერო ფლოტი.

**ტოკიო.** 12 ივლისი. იაპონიის სამხედრო მინისტრი იმუშავებს პროექტს საჰაერო ფლოტის საგრძნობლათ გაძლიერების შესახებ.

### იაპონიის ემიგრანტები ამერიკაში.

**ტოკიო.** 12 ივლისი. იმის გამო, რომ შეწყვეტილია იაპონიის ემიგრანტების გადაგზავნა ამერიკაში, იაპონიის ზოგიერთმა საზოგადო მოღვაწეებმა წინადადება მისცეს ამერიკას მოწვეული იქნეს ამ საკითხის განსახილველად ამერიკა-იაპონიის კონფერენცია. ამერიკამ, მოითხოვა რა ორი წლით გადადება, უარი განაცხადა ამ წინადადებაზე.

## ლატვია

### რეაქცია მუშაობს.

**რიგა.** 12 ივლისი. ვოლმარში დაპატიმრებულია 60 კაცი. დაპატიმრებულთა შორის არიან სოციალ-დემოკრატები. გაზეთების ცნობებით მთავრობას განზრახული აქვს დაპატიმრებულნი გადაგზავნოს რუსეთში. ახალი რეპრესიები მიმართულია მუშათა მოძრაობის ყოველგვარს მიმართულები წინააღმდეგ. კომუნისტურ უჯრედებზე მითითება არის თვალთმაქცობა. მენშევიკები მდუმარებენ და მით ხელს უწყობენ რეაქციას მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ.

## საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

### გაფიცვა.

**ლონდონი.** 11 ივლისი. ტრანსპორტის მუშათა დელეგატების წლიურს კონფერენციაზე, გაფიცვის შესახებ კამათის დროს, ლონდონის დელეგატმა განაცხადა: „ბელადებს უნარი არა აქვთ დარაზმონ მუშები, მაშინ როდესაც არაოფიციალურმა ხელმძღვანელებმა შესძლეს ნავთსადგურის მუშათა ფეხზე დაყენება და მისცეს მათ ბრძოლის ლოზუნგები“. გაფიცულებისათვის მხარის დაჭერის რეზოლიუციას ხმა მისცა 133 დელეგატმა 18 წინააღმდეგ. ნავთსადგურის მუშების მიერ არჩეულმა დელეგატებმა ლონდონში მოაწყვეს დამოუკიდებელი კონფერენცია და დაადგინეს საერთო კონფერენციაზე გაგზავნონ დელეგაცია და სთხოვონ წლიურს კონფერენციას, შესცვალოს გაფიცვის შესახებ მიღებული რეზოლიუცია.

### მუშათა მოძრაობა.

**ტოკიო.** 11 ივლისი. მუშათა მოძრაობა იაპონიაში ძლიერდება. ივნისში მოეწყო 26 გაფიცვა; გაფიცული იყო 25.000 კაცი.

### ამერიკის მუშათა შორის.

**ნიუ იორკი** 11 ივლისი. გომპერსმა განაცხადა, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია რაზმავს ფოლადის ჩამომსხმელ მუშებს 8 საათის სამუშაო დღის მოსაპოვებლად.

### შეთანხმება მუშებთან.

**ბერლინი.** 11 ივლისი. შრომის კომისარიატის დამქირავებლებისა და მუშათა წარმომადგენლების მოლაპარაკება შეთანხმებით ვერ დამთავრდა.

### გაფიცვები.

**ლონდონი.** 12 ივლისი. გაფიცულ მუშათა ცნობით, გაფიცვების წინააღმდეგ განწყობილნი პროფკავშირთა წინამძღოლები დეპეშით იუწყებიან, რომ ზოგიერთ ადგილებში მუშაობა განახლდაო.

ხორცის გადამზიდველმა და საყინულეების მუშებმა გამოაცხადეს სოლიდარობის გაფიცვა.

ქალაქის ტრანსპორტის მუშათა კავშირის ლონდონის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ კავშირის წევრები უარს იტყვიან საქონლის გადაზიდვაზეო.

საგაფიცვო კომიტეტმა მიიღო მისასალმებელი დეპეშა დგამების დამზადებელ მუშათა ლონდონის კავშირის დელეგატების ყრილობისაგან.

გაფიცვათა მიერ გამოშვებულ ბიულეტენში დაბეჭდილია ნაციონალურ საგაფიცვო კომიტეტის დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ კომიტეტს არა სურს დაშალოს კავშირი და ებრძოლოს ლიდერებს, არამედ იგი სცდილობს გამოიყენოს კავშირების მექანიზმი მუშათა ინტერესებისათვის. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ არ უნდა მოხდეს არავითარი სეპარატიული შეთანხმება ხელფასის შემცირება და მუშაობის განახლება, სანამ მუშები საბოლოოდ არ გაიმარჯვებენო. გაფიცვა უნდა იქნას აღიარებული კავშირის მიერ და მუშებს უნდა მიეცეს ხელფასი გაფიცვის დროის განმავლობაში.

## წითელ ფედერაციებში

### რუსეთი

### ყოფილი მენშევიკები

**სარატოვი.** 12 ივლ. ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებულია მოწოდება ყოფილი მენშევიკებისა, რათა მოწვეულ იქნეს საოლქო კონფერენცია, მენშევიკური პარტიის საბოლოვო ლიკვიდაციისათვის.

### საჰაერო ფლოტი.

**ჩიტა.** 12 ივლისი. შორეულ აღმოსავლეთი გულმოდგინეთ ემზადება საჰაერო ფლოტის კვირეულისათვის. ტრანსპორტის მუშათა კავშირი ეწერება „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების“ წევრად, და სწირავს მას ერთდროულად ნახევარი დღის ხელფასს და ჯამაგირის 1 პროც.-ს 6 თვის განმავლობაში. პროფკავშირთა შორეულ აღმოსავლეთის საბჭომ გადასდო „საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების“ სასარგებლოთ 3 000 მან. ოქროთი და ყველა პროფორგანიზაციებს შორის განაწილა 25 მანეთი ოქრ. თვითმფრინავობის ასაშენებლად.

### იაპონიის ნალმოსანი გემები ნიკოლაევსკში.

**ვლადივოსტოკი.** 12 ივლისი. იაპონიის ნალმოსანმა გემებმა დაჰყვეს რა ნიკოლაევსკში 2 დღე, 11 ივლისს დასტოვეს ნავთსადგური. ნალმოსნების უფროსმა მადლობა გადაუხადა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს მეგობრული მიღებისათვის და გამოსთქვა იმედი, რუსეთ-იაპონიის მოლაპარაკების სასურველად დამთავრების შესახებ.

### უკრაინა.

### პურის ექსპორტის საკითხი

**ხარკოვი.** 11 ივლ. ხარკოვში გაიხსნა ყრილობა პურის ექსპორტის საკითხის განსახილველად. საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. რაკოვსკი, რომელმაც განაცხადა, რომ წელს უკრაინაში არის ზედმეტი 350 მილიონი ფუთი ხორბალი. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინისათვის უცხოეთის ბაზარზე პურის გატანას. ამან უნდა გააჯანსაღოს არა მარტო სასოფლო მეურნეობა, არამედ უკრაინის მთელი სახელმწიფო მეურნეობაც. უსაფუძვლოა შიში, ვითომც უცხოეთის ბაზარი გადაჩვეულიყოს რუსეთის პურს. ჰამბურგის ბაზარზე რუსეთის ჭვავი ყველა ქვეყნების ჭვავსა სჯობდა.

რუსეთის პურს მეტოქეობის არ ეშინია. ყრილობის დანიშნულება ის არის, რომ გამონახოს ზომები გლეხობის დასაინტერესებლათ უცხოეთის ბაზარზე პურის გატანაში.

მიწათ-მოქმედების კომისარიატის კოლეგიის წევრმა ვოლფმა განაცხადა, რომ უკრაინაში წელს 2 მილიონით მეტი დესეტინა ყოფილა დათესილი, განსაკუთრებით ბევრი ადგილები დაითესა მოუსავლობით დაზარალებულ კუთხეებში. გაზაფხულის პური და ქერი ნაკლებ მოსავალს მოგვცემს, სამაგიეროთ შემოდგომის ხორბალი და ჭვავი საშუალოზე მეტი მოვა. ყურადღებას იქცევს გაზაფხულის ხარჯიანობა, რის გამოც მის გაზიდვას მნიშვნელობა არ ექნება. საჭიროა ყურადღება მიექცეს მეურნეობის იმ დარგს, რომელიც უცხოეთში გასაზიდათ გამოდგება. კერძოდ ყურადღება უნდა მიექცეს სიმინდისა და მზესუმზირას მოყვანას, თუმცა სიმინდის ნათესები ნაკლები იყო, მიუხედავათ სიმინდის მოსავლის მესამედიც კი მეტი იქნება ვიდრე 1915—1921 წლების მოსავალი და 50 მილიონ ფუთს მაინც მიაღწევს. საზღვარ-გარეთ მზესუმზირას გაზიდვას ძალიან კარგი პირობები აქვს. უმთავრეს გასაზიდ პირნახულს შეადგენს ჭვავი, სიმინდი და მზეუმზირა.

კამათის დროს გამოირკვა, რომ ხორბლეულის გაზიდვის საქმეს შეაფერხებს ტრანსპორტის ნაკლებობა და მოუწყობლობა.

ადგილობრივ კერძო პირები გაფაციცებით ყიდულობენ ხორბალს.

ორატორები მოითხოვდნენ, რომ სახელმწიფო ბანკმა სესხის საქმე უნდა გააფართოვოსო და შეუწყნარებლად სთელიან ხორბლეულობის კერძოთ დამზადებისათვის ავანსების გაცემას.

### გაეროვნება

**ხარკოვი.** 12 ივლ. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს სამხრეთის ბიურომ უკრაინის პროფესიონალურ ორგანიზაციებში საქმის წარმოება უკრაინულ ენაზე დაიწყო.

## მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

### 2-ე რაიონის ყოფილ მენშევიკ-მუშათა კონფერენცია

13 ივლისს გაიხსნა 2-რე რაიონის ყოფ. მენშევიკ-მუშების კონფერენცია. დაესწრო 60 დელეგატზე მეტი. კონფერენცია გახსნა არსენალის მუშამ ვარსამაშვილმა. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი ამხ. ფარნიევის, ანთაძის, ლაპკინის, ლიტვინაშვილის და თედაშვილის შემადგენლობით.

დღის წესრიგი:

1) დამოკიდებულება მენშევიკების ცეკას რეზოლიუციისადმი.
2) „ბოლშევიკები და მენშევიკები“;
3) მოხსენება ქუთაისის კონფერენციის შესახებ;
4) ამხ. ჰყონიას მოხსენება, რუსეთში საქმის მდგომარეობის შესახებ.

პირველ რიგში მოხსენება გააკეთა ამხ. ლუკაშევიჩმა მენშევიკების ცეკას რეზოლიუციისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ვრცელი მოხსენება რუსეთში საქმის მდგომარეობის შესახებ გააკეთა ამხ. ჰყონიამ.

ამხ. რუხაძემ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „პროლეტარიატის თუ დემოკრატიის ძალა-უფლება“.

ქუთაისის კონფერენციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შენგელიამ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს მთელმა რიგმა ამხანაგებმა. (დაწვრილებითი ანგარიში დაბეჭდილი იქნება ჩვენი გაზეთის მახლობელ ნომერში)

### დეკლარაცია.

კონფერენციამ მიიღო შემდეგი დეკლარაცია (2 თავი შეიკავა)

„ქ. ტფილისის 2-ე რაიონის მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა კონფერენცია სავსებით უერთდება რა ძირითად დებულებებს, რომელიც მიღებულ იქნა 1 რაიონის რკინის გზელთა კონფერენციის მიერ ადგენს:

1. მენშევიკურ პარტიიდან გამოსვლა არის შეგნებული გადაწყვეტილება, რომელიც მოხდა საქართველოს და საერთოდ რუსეთის მენშევიზმის ტაქტიკის ღრმა ანალიზის შემდეგ.

2. პროლეტარიატის ხელში ყველა რევოლიუციონურ მონაპოვართა შენარჩუნების და მსოფლიო მასშტაბით პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნების და კლასთა ბრძოლის განმტკიცების მიზნით, კონფერენცია მოუწოდებს მუშათა საქმისათვის ყველა სინდისიერ მებრძოლთ გაერთიანებისაკენ, და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისაკენ კაპიტალიზმის და კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

3. აღიარებს რა მენშევიკურ პარტიის ტაქტიკას შემცდარად და მუშათა კლასისათვის საზიანოთ, როგორც ამ პარტიის საქართველოში ბატონობის დროს, ისე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, კონფერენცია უარყოფს მენშევიკურ პარტიაში მიღებულ ფორმულას: „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ“ და მოუწოდებს ყველას დადგენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე.

4. აცხადებს რა გაუქმებულად მენშევიკურ პარტიის 2-ე რაიონის ორგანიზაციას, კონფერენცია წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას უფრო ფართო კონფერენცია ტფილისის და საქართველოს მასშტაბით, რათა გამორკვეულ იქნას საკითხი საქართველოში მენშევიკურ პარტიის არსებობის შესახებ და შემუშავდეს ჩვენი მომავალი მოქმედების პროგრამა საბჭოთა ხელისუფლების ერთად-ერთ ხელისუფლებად აღიარების საფუძველზე, ხელისუფლების, რომელიც სდგას პროლეტარიატის და ღარიბ გლეხობის ინტერესების დაცვის პოზიციაზე.

გაუმარჯოს მუშათა კლასის ერთობას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

კონფერენციამ მიმართა ციხეში მყოფ მენშევიკებს შემდეგი მოწოდებით: (მოწოდების გაგზავნის წინააღმდეგ გაილაშქრა ერთმა ამხანაგმა)!

### მოწოდება პოლიტიკურ პატიმრებისადმი.

2-ე რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენცია მიმართავს თავის ყოფილ ამხანაგებს, რომელნიც იზოლიაციაში იმყოფებიან, შემდეგი მოწოდებით:

რევოლიუციონური ბრძოლის მრავალ წლებში ჩვენ ხელი-ხელ ჩაკიდებული მივდიოდით რევოლიუციონური მოღვაწეობის ეკლიანი გზა ჩვენ გავიარეთ სინდისიერათ და რევოლიუციონურის ღირსებით. ჩვენ არ გვაშინებდა არც მეფის კატორღა, არც სახრჩობელა, არც სუსხიანი ციმბირი, რადგან გვწამდა ჩვენი საქმე.

ოქტომბრის რევოლიუციამ ჩამოაგვაშორა ჩვენ პროლეტარიატის ინტერესების დაცვის პოზიციას და სრულიად შეუგნებლად მოვექეცით მუშათა კლასის მტრების ბანაკში. მთელი ჩვენი მოქმედება ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, სამწუხაროთ მიმართული იყო პროლეტარიატის ინტერესების წინააღმდეგ.

მაგრამ უნდა დამდგარიყო გამოფხიზლების მომენტი. და ეს მომენტი უკვე დადგა მენშევიკური პარტიის წევრთა დიდმა უმრავლესობამ, უმთავრესად მუშებმა, ზურგი შეაქცია მენშევიკურ პარტიას.

თუ თქვენ თვალ-ყურს ადევნებთ იმას, რა ხდება დღეს მენშევიკურ პარტიის წევრთა წრეში, თუ თქვენ თვალყურს ადევნებთ იმ გარდატეხას, რომელიც მოხდა მენშევიკურ პარტიის მასაში, თქვენთვის ნათელი გახდება, რომ მუშათა კლასი, რომელზედაც უნდა ეყრდნობოდეს სოციალისტური პარტია, საბოლოვოდ ჩამოშორდა მენშევიკებს.

იმ მცირე ჯგუფებს; რომელნიც განაგრძობენ ამ პარტიაში ყოფნას, დარჩენიათ აირჩიონ ორში ერთი: ან მუშებთან, ან ბურჟუაზიულ ელემენტებთან.

და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ ჩვენთან ერთად იქნებით.

საერთო პოლიტიკური ბრძოლის მრავალწლები მჭიდროთ შეგვაკავშირებს ჩვენ. ველით თქვენგან ისეთ პასუხს, რომ თქვენ არ ჩამოშორებულხართ ბრძოლას პროლეტარიატის საქმისათვის, რომ თქვენ ჩვენთან ხართ და ბრძოლის წითელი დროშა ჩვენ უნდა ვატაროთ თქვენთან ერთად მუშათა კლასის საბოლოვო მიზნების განხორციელების მომენტამდე.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ, ძველი მებრძოლნი, გაიგონებთ ჩვენ გულწრფელ მოწოდებას.

ჩვენ გირჩევთ გამართოთ თათბირი ციხეში და გამოარკვიოთ თქვენი დამოკიდებულება ჩვენი წინადადებისადმი.

თუ თქვენის მხრით იქნება სურვილი, ჩვენ შეგვიძლია გამოვგზავნოთ წარმომადგენელი ჩვენ პოზიციასთან გასაცნობათ.

გაუმარჯოს ყველა რევოლიუციონურ-მარქსისტულ ელემენტების ერთობას!

გაუმარჯოს მუშათა კლასის კავშირს მე-3 ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

კონფერენციამ მიმართა ახალგაზრდა მარქსისტებს შემდეგი მოწოდებით:

### მოწოდება ახალგაზრდა მარქსისტებისადმი.

მე-2-ე რაიონის ყოფილ მენშევიკების კონფერენცია მიმართავს ახალგაზრდა მარქსისტების ორგანიზაციას შემდეგი მოწოდებით.

ახალგაზრდობა—არის ჩვენი მომავალი. რევოლიუციონური დროში დაქანცულ ძველ მებრძოლების ხელიდან უნდა გადავიდეს რევოლიუციონურ ახალგაზრდათა სანდო ხელში.

მარქსისტული ახალგაზრდობა ყოველთვის იყო რევოლიუციის ავანგარდში. იგი დღესაც ავანგარდში უნდა იდგას.

მენშევიკური პარტიის დიდი უმრავლესობა გამოფხიზლდა. მენშევიკური პარტია ლიკვიდაციის განიცდის და მისი წევრები დგებიან მუშათა საქმისათვის ბრძოლის სწორ გზაზე.

ამ ისტორიულ მომენტში ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ არ ჩამორჩეთ, გააძლიეროთ ძველ მებრძოლთა რიგები და გაგვამხნევოთ თქვენი ახალგაზრდული, რევოლიუციონური აღტკინებით.

თქვენი ულევი ენერგია, თქვენი ახალგაზრდა ძალები საჭიროა რევოლიუციისათვის. მუშათა კლასს ესაჭიროება ახალი რევოლიუციონური ძალები, რომელნიც შესცვლიან მას.

მოგიწოდებთ თქვენ ჩვენ რიგებში, რათა ვიაროთ ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულმა.

ჩვენ ვაყენებთ თქვენ წინაშე კონფერენციის მოწვევის ლოზუნგს, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, რომ თქვენ მიდიხართ თქვენი ძველი ამხანაგების გზით.

გაუმარჯოს შეგნებულ რევოლიუციონურ ახალგაზრდობას, რომელიც მხარს უჭერს პროლეტარიატის ბატონობას!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას!

## ამხ. მარტინოვი ქ. ქუთაისში

7 ივლისს, საღამოთი გაემგზავრა ამხ. მარტინოვი რამოდენიმე ამხ. თანხლებით თბილისიდან ქუთაისში ყოფილ მენშევიკების კონფერენციაზე დასასწრებათ. ის გზაში ამხანაგებთან ბაასის დროს არკვევს მიზეზებს მენშევიკური პარტიის დაშლა-დარღვევისა, იგონებს თუ როგორ შენდებოდა მენშევიკური პარტია, მის ტაქტიკას, რევოლიუციასთან დამოკიდებულებას და დაასკვნის: არ არის გასაკვირალი ის შედეგი, რომლის მოწმე ჩვენ შევიქენითო და სხვა.

8 ივლისს, დილით მატარებელი ჩადის სადგურ რიონში, აქ ხვდებიან მარტინოვს ამხ. დ. ლორთქიფანიძე, ურუშაძე და სხვები, ამავე დროს მოდის ფოთის მატარებელი. მატარებელის შემადგენლობაში ერთი ღია ვაგონია, ვაგონი მორთულია, ორკესტრი ახლავს, ზედ მყოფნი გაცხოველებულ ბაასში არიან—ესენი სამტრედიის რაიონის დელეგატებია მენშევიკების კონფერენციაზე დასასწრებლათ მომავალნი. ამხ. მარტინოვი ამათკენ მიეშურება, დელეგატები ვაშას ძახილით ხვდებიან, ჩაისვამენ თავის ვაგონში, ის მათ მიესალმება მოკლე სიტყვებით. ქუთაისამდე ამხ. მარტინოვი იმყოფება სამტრედიელ დელეგატებს შორის, ის მათთან ერთათ მსჯელობს სხვა და სხვა კითხვებზე. დელეგატები ცდილობენ რაც შეიძლება მეტი შეკითხვები მისცენ მენშევიკური პარტიის ცხოვრებიდან, რევოლიუციის ისტორიიდან და სხვა. ამხ. მარტინოვი ყველა შეკითხვაზე სიამოვნებით აძლევს პასუხს.

ჩავედით ქუთაისში, ვაგზალში თავი მოუყრიათ პასუხისმგებელ ამხანაგებს, კონფერენციის მომწვევ ბიუროს წევრებს და სხვა ყოფილ მენშევიკებს. აქაც ამხ. მარტინოვს ტაშის ცემით და ვაშას ძახილით ხვდებიან.

გავდივართ სადგურის უკან მოედანზე. ამხ. მარტინოვი ხელით მიყავთ, აქ გვხდებიან სხვა დელეგატებიც და აუარებელი ხალხი, გამოსული ამხ. მარტინოვის შესახვედრათ. იმართება ვეებერთელა მიტინგი. მიტინგს ხსნის ამხ ვ. ბახტაძე, სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი. პირველათ მიტინგს მიესალმება ამხ. მარტინოვი. თავის სიტყვაში ის იგონებს ზოგიერთს ქართველ მენშევიკებს და შესაფერისათ აფასებს. სიტყვებს ლაპარაკობენ: ამხ. შ. ლეჟავა, ვ. ბახტაძე და ყოფილი მენშევიკი კიმოთე შენგელია. ორატორებს მიტინგი აჯილდოვებს ტაშით და ვაშას ძახილით. მიტინგის დასრულების შემდეგ დელეგატები მიემგზავრებიან სახელმწიფო თეატრში, სადაც იხსნება კონფერენცია. დილის სხდომაზე ირჩევენ პრეზიდიუმს, სამანდატო კომისიას, რის შემდეგ იწყება მისალმებები. კონფერენციას ესალმებიან: მარტინოვი, საქართველოს ცეკას სახელით შ. ლეჟავა, ცაკის—ვ. სტურუა, სამაზრო პარტკომის ვ. ბახტაძე, ყოფილი მენშევიკები: თ. ჰუმბურიძე, ქ. შენგელია და სხვები.

დილის სხდომა ამით სრულდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თეატრში არა დელეგატებს უშვებდნენ ბილეთებით, ვინაიდან დასწრების მსურველი მრავალია და თეატრი ყველას ვერ იტევს. თვით დელეგატთა რიცხვი უდრის 327. წარმომადგენლობა ხუთზე ერთი კაცია.

საღამოს სხდომაზე მოხსენებას აკეთებს ამხანაგი მარტინოვი. ის აშუქებს პარტიის ისტორიას, რევოლიუციას და მის პერსპექტივებს.

მოხსენება მეტად შინაარსიანი და შესანიშნავად დასაბუთებულია, მთელი დარბაზი სმენათ არის გადაქცეული, დამსწრეთა გამომეტყველებაზე კითხულობ, რომ ისინი დადარაჯებულნი არიან, რათა ერთი სიტყვაც არ გაეპაროს მათ სმენას. საღამოს კრება თავდება ამხ. მარტინოვის მოხსენებით, რომელიც გაგრძელდა სამ საათზე მეტი.

9 ივლისის დილის კრებაზე ითარგმნება მარტინოვის სიტყვა და იმართება კამათი. მომხსენებელს მოსდის მრავალი შეკითხვები, რაზედაც აძლევს დინჯ და დასაბუთებულ პასუხს. ამის შემდეგ ეძლევა სიტყვები დელეგატებს, რომლებიც აღნიშნავენ მენშევიკური პარტიის შეცდომებს, სოციალიზმის გზიდან გადახვევას, ბურჟუაზიისათვის ხელისშეწყობას და სხვა, გამოსთქვამენ სიხარულს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მესამე წელში მაინც სწორ გზაზე შედგომის, თავის მოძმე მუშებთან მოსვლის გამო. მოლაპარაკენი—რკინის გზის მუშები და სოფლის გლეხებია. ბევრი მათგანი დიდი პარტიული სტაჟის მქონენი არიან და შესანიშნავი ორატორული ნიჭითაც დაჯილდოვებული. საღამოს სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები მარტინოვის მოხსენებაზე, მიმართვა გაქცეულ მთავრობისადმი, რათა მათ დააბრუნონ წაღებული ქონება, მოწოდება დატყვევებულ მენშევიკებისადმი და ახალგაზრდა მარქსისტებისადმი, რომ ისინიც შედგენ კონფერენციის მიერ არჩეულ გზაზე, პარტიის ლიკვიდაციის შესახებ და სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკების კონფერენციის მოწვევის შესახებ. კრების ბოლოს ამხანაგი მარტინოვი ლაპარაკობს მგრძნობიარე სიტყვას, რის შემდეგ დელეგატები უმართავენ ოვაციებს, აიყვანებენ ხელში და გამოყავთ ქუჩაში; იმართება დემონსტრაცია, რომელსაც უერთდება აუარებელი ხალხი. დემონსტრანტები მიაცილებენ ამხანაგ მარტინოვს „გრანდ-ოტელამდე“, სადაც ის არის ბინათ გაჩერებული, აქ ამხ. მარტინოვი კიდევ ლაპარაკობს სიტყვას. ასეთი ენტუზიაზმით სრულდება კონფერენცია, რომელმაც ჯვარი დაუსვა მენშევიკების ძველ მოღვაწეობას. ამხანაგი მუშები, ყოფილი მენშევიკები, უზიარებენ სიხარულის გრძნობას სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსულ ამხანაგ დელეგატებს და იშლებიან იმ იმედით, რომ დარჩენილი „ურწმუნო თომებიც“ მოვლენ მალე გონს.

კ. ქ.

## ამიერ კავკასიის ფედერაციაში

### აზერბეჯანი

### მალიშევის გამგზავრება.

**ბაქო.** 12 ივლისი. ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მალიშევი მოსკოვს გაემგზავრა.

### ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე.

**ბაქო.** 12 ივლისი. აზერბეიჯანის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე ხსნის განყოფილებას, აზერბეიჯანის საქონლის რეალიზაციისათვის.

### სასოფლო-მეურნეობის სტატისტიკა.

**ბაქო.** 12 ივლისი. აზერბეიჯანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რუსეთის ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოდან მიღებულ შუამდგომლობის თანახმად მოწერილობა დაუგზავნა დეპეშით ყველა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს; რათა ბაქოს ცენტრალურ სასტატისტიკო სამმართველოს თვეში სამჯერ გაუგზავნონ სასოფლო-სამეურნეო ცნობა ნაწარმოებთა ფასების შესახებ.

### ხანძარი საბუნჩიში.

**საბუნჩი.** 12 ივლისი. ივლისის 11 ს საბუნჩიში, მე-20 უბანში ნავთის მატორი გასკდა და პატარა ხანძარი გაჩინა. დაიწვა ერთი ჩაბურღული ჭა, რომელიც დღეში 300 ფუთს ნავთს იძლეოდა, 6 გაუქმებული ჭა და 1 აუზი 4000 ფუთი ნავთით.

### ლიტერატურა მაზრებისათვის.

**ბაქო.** 12 ივლისი. აზერბეიჯანის აღმასრულებელმა კომიტეტმა, მაზრებისათვის წიგნების მისაწოდებლად, მიჰმართა სახალხო კომისართა საბჭოს, გამოიწეროს ყოველთვიურად 600 ცალი გაზეთი „ენი ფიკირ“-ი და 100 ცალი გაზეთი „მარტაკოჩ“-ი.

### ნავთის ფრონტზე.

**ბაქო.** 12 ივლისი. ივლისის 4 8 განმავლობაში ყველა სამრეწველოებზე ამოღებულია 2,943,000 ფუთი ნავთი, საქაჩავში მიშვებული იყო 2,305,000 ფ., ნავთი, საქაჩავიდან მიღებულია 2,281,000 ფუთი. დაწმენდილია 369,000 ფუთი. საშუალოდ დღეში გაბურღვა სწარმოებდა 164 ჭაზე, გაიბურღა 481 საჟენი.

## ეკონომიური ცხოვრება

### ვალიუტის კურსი ტფილისში

(14 ივლისი).

| | |
|---|---|
| ჩერვონცები — — — | 16,000 |
| გირ. სტერლინგ. ეფექტ. | 14,700 |
| ჩეკები — | 12,550 |
| დოლარი ეფექტ. — — | 3,200 |
| ჩეკები — | 2,950 |
| იტალიური ლირა — — | 10 |
| ოსმალ. ქაღალ. ლირა — | 2,320 |
| ფრანგული ფრანკი ეფექტ. | 165 |

### თბილისის ბაზრის ფასები.

(14 ივლისი)

თეთრი პური—80-100 ათ., პური 2 ხარ.—45-50 ათ, ნატეხი შაქარი—675-720, ფხვნილი შაქარი—550., ერბო 680 ათ, კარაქი—650—700, როსტოვის საპონი—350, მარმარილოსი—300, სამარხვო ზეთი—220, თუშური ყველი—400 ათ., თეთრი ფქვილი—100 ათ., კომბოსტო—50-60 ათ., მწვანე ლობიო—60-70 ათ., ჭარხალი—60, პამიდორი—180-200, კვერცხი ათი ცალი—380 ათ.

### მუშკოპის ფასები.

(14 ივლისი)

პური 2 ხარ.—45, ერბო—680, სამარხვო ზეთი—200, თუშური ყველი—460, ბრინჯი—150, კარაქი—960, როსტოვის საპონი—340, კარტოფილი—40, ვერმიშელი—400 ათ., თეთრი ფქვილი—80 ათასი, ძროხის ხორცი 350.

### ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(14 ივლისს)

რკინის ნაწარმოები, ყუბანის ფქვილი უმაღლეს, 1, 2 და 3 ხარ., ქატო, მაკარონი და ვერმიშელი 1 ხარ. რკინეულობა, ბარები, ფიწალი, ერბო, შვეიცარული ყველი, ცეილონის ჩაი, მარილის სინდიკატის პროდუქცია, ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროს., სრულიად რუსეთის ტყავის სინდიკატის პროდუქცია, რეზინის ტრესტის რეზინის ნაწარმოებები, ს. მ. ფ. ს. საფეიქრო-საპნისა და ზეთის გამომხდელ ტრესტის პროდუქცია, რუსეთის ქაღალდის ფართლეულობა. სალამასი, რუსეთის ასანთი, საპნის სუროგატი, საამშენებლო ლურსმნები, თოკი, საბეჭდავი ქაღალდი 16—24, ამერიკული ფეხსაცმელები, ქიმიური ნახშირის პროდუქცია, ინგლისური შაბიამანი, ფანჯრის მინები რუსეთის ნახევრათ თეთრი, ბემის მინები. შევროსი, ხრომის და ბოკსის მამაკაცის ფეხსაცმელები.

# ამხ. სურგულაძის ხსოვნას

ეთის სამაზრო აღმასკომის ომარე სერგი სურგულაძე, ალური აღმასრულებელი კო- ს დავალებით, ამა წლის ივ- პირველ რიცხვებში გაემგზა- მავ ხევსურეთში საბჭოთა აპა- განსამტკიცებლად და ფშავე- და ხევსურებს შორის არსე- უთანხმოების აღმოსაფხვრელად. ხევ'ურეთში მისვლისთანავე რგო თავისი ავტორიტეტული ენით ამყარებს ამ ორი კუთ- ხოვრებთა შორის მშვიდობია- და ამასთანავე თავის სიმაღ- აყენებს რაიონულ საბჭოთა ებულებას.

არებულ დავალების შესრუ შემდეგ, ამხანაგი სერგო 10 ს ბრუნდებოდა თიანეთისაკენ. ის 5 საათზე მაღაროს კარიდან ვერსის მოშორებით მოულოდ- და შეუმჩნევლათ, დაბურულ ან ბოროტ მოქმედებმა ასტე- სროლა. პირველივე „ზალპი“ ს სერგოს ცხენს. გრძელდება ლი ბრძოლა, რომელმაც გას- 2 საათს. ამ სროლაში ჩვენი ასი სერგო მძიმედ იჭრება და ის შემდეგ იგი სამუდამოთ გა- ლმა ფშავ-ხევსურეთს, თიანე- მაზრის მშრომელ ხალხს და კო- ტური პარტიის რიგებს.

სერგო სურგულაძე იყო ღარ- ლების ოჯახიდან. დაიბადა ის წ. სოფ. ასკანაში (ოზურგე- მაზრა) დიდი ვაი-ვაგლახით ლებმა შესძლეს მიეცათ მისთვის სწავლა.

ნათავისუფლებელ მოძრაობის ცხლში ამხ. სერგო ჩაება 1905 და იღებდა აქტიურ მონაწი- ას გურიის აჯანყებებში.

ვოლიუციის დამარცხების შემ- როდესაც რეაქციამ ფეხი მოი- და ის მუსრს ავლებდა საუკე- მებრძოლ რევოლიუციონერებს, სერგოც რამოდენიმეჯერ და- ებული იქნა ალიხანოვის ჯა- ბის მიერ.

ანსკნელათ კი დაპატიმრებული 1907 წ. და მას მოუხდა ციხე- ლომა სამ წელს, რის შემდეგაც ის აჯანყებაში მონაწილეობისა- გასამართლებული იქნა 1909 2 მუხლის ძალით და მას მიუ- ოთხი წლის კატორღა, რომე- შემდეგ შეუცვალეს სამუდამო სახლებით შორეულ ციმბირში, ის გუბერნიაში, სადაც დაჰყო წლამდე. 1917 წლის რევოლიუ- პირველ დღიდანვე ჩაება რევო- ციის ფერხულში და საქართვე- გასაბჭოებამდე იმყოფებოდა და სხვა შორეულ ადგილებში, და სხვა საპასუხისმგებლო თანა- ბობაზე.

სამოქალაქო ომში, რომელიც გა- ადა ციმბირის მხარემაც, ამხ. სე- იყო ერთი აქტიური მონაწილე- ანი.

სათავეში ედგა სხვა და სხვა არა რევოლიუციონურ პარტიზა- რაზმებს, რომლებიც გაშმაგე- იბრძოდენ კოლჩაკისა და ჩე- ლოვაკების წინააღმდეგ.

ს პატარა რაზმები, რომლებიც ადგებოდენ მუშების და გლეხები- ან, ბოლო დროს ავიდა ოცი ათა- ამდე.

ამხ. სერგოს, სამოქალაქო ომის ოს, ოთხი წლის განმავლობაში, იდან იარაღი არ გაუგდია და არ ყვენებია. ის მხოლოდ ბრძოლა- ჰპოვებდა თავის შვებას.

ამ განსაკუთრებულ პირობების ატა- რომელშიაც უხდებოდა ბრძოლა სერგოს ყოველ ჯურის კონტრ- ვოლიუციონერებთან ოთხი წლის მავლობაში, შეეძლო ატანა მხო- ოდ ისეთ რკინისებურ ჯანმრთელო- და ნებისყოფის მქონე ადამიანს, როგორიც იყო ამხ. სერგო. ვისაც არ მოუცდია რამოდენიმე წელი ტყე- და ღრეში, თოვლით მოფენილ ციმბირის მთებში ყოფნა, რომელიც გამოსცადა ამხ. სერგომ, მისთვის ძნელია წარმოდგენა იმ მდგომარეობის, რომელშიც იყო ამხ. სერგო. ის იბრძოდა და იტანჯებოდა იმისთვის, რომ დარწმუნებულიყო თავისი რევოლიუციონური იდეის გამარჯვებაში.

ბევრ ჩვენს ამხანაგებს განუცდიათ სამოქალაქო ომის დროს ასეთი წარსული და მხოლოდ მათ შეუძლიათ დააფასონ ამხ. სერგოს რევოლიუციონერობა.

როდესაც პარტიზანული ომი გათავდა და წითელმა ჯარებმა დაიჭირა პარტიზანების ადგილი, ამხ. სერგო მობილიზაციის სახით გამოწვეული იქნა გასაბჭოებულ წითელ საქართველოში.

ის გაორკეცებული და სიცოცხლით სავსე ენერგიით უბრუნდება მუშაობას, უკვე ყოველივე ჯურის სოციალ-გამყიდველებისაგან და ნაციონალისტ-შოვინისტებისაგან განთავისუფლებულ სამშობლოში, ბრუნდება იმ ადგილში, სადაც 14—15 წლის წინეთ მას დაადვეს რკინის ხუნდები და ისე გაგზავნეს ჩრდილოეთ ციმბირში.

ის ჩამოსვლის დღიდანვე, საქ. კომუნისტურ პარტიის ცეკას მიერ იგზავნება თიანეთის მაზრაში, სადაც მას ირჩევენ თიანეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ.

ამ თანამდებობაზე დარჩა ამხ. სერგო უკანასკნელ ხანამდე.

ორი წლის განმავლობაში ეწეოდა ის მძიმე მუშაობას და არა ერთხელ და ორჯერ გამკლავებია აქ მოქმედ შავბნელ ბანდიტთა ძალებს, რომლებიც დათარეშობდნენ თიანეთის ულრან ტყეებში და მიუვალ მთებში.

ამხ. სერგოს აქაც არ აცდა კონტრ-რევოლიუციონურ და შავრაზმულ-ოფიცრობასთან, ჩოლოყაშვილის და მათ ამყოლ თავად აზნაურობასთან და ბანდიტთა ძალებთან ბრძოლა.

კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფებს, რომელნიც მოქმედებდენ საზღვარ გარეთ გაქცეულ მენშევიკების ლოცვა-კურთხევით და კარნახით არა ერთი დამარცხება არგუნა ამხ. სერგომ.

ამხ. სერგო არ იყო კაბინეტში მჯდომი მუშაკი, არამედ წმიდა მეომარი, რომელიც მუდამ სათავეში ედგა წითელ რაზმს შავ რაზმის წინააღმდეგ.

აქ არ შეგვიძლია არ მოვიხსენოთ ამხ. სერგოს ერთი იმ ეპიზოდთაგანი, რომელიც გადახდა მას თავს ფშავ-ხევსურეთში, როდესაც იქ მოქმედობდა ჩოლოყაშვილის შავი რაზმის წინააღმდეგ. ამხ. სერგოს მცირე ჯგუფს თავს შემოერტყა რკალივით ჩოლოყაშვილის ბანდა. მისი წუთები დათვლილი იყო, რადგანაც გასასვლელი გზა არსად ჰქონდა. მას ჩოლოყაშვილის ერთმა ბანდიტთაგანმა დაუძახა: „სერგო, ჩვენს ხელში ხარ, დაგვნებდიო“. ამის გაგონებაზე ამხ სერგომ შესძახა: „რევოლიუციონერი და მასთან საქართველოს აღმასკომის წევრი ცოცხალი არ დაგნებდებათო“, და მასთან მყოფ ორ გმირით გააპო გარშემორტყმული რკალი და ბრძოლით გავიდა სამშვიდობოს.

ასეთი მომენტები მის წარსულში მრავალი მოიძებნება.

ამხ. სერგო, შენ მოკვდი, მაგრამ შენი ხსოვნა ჩვენს შორის და საქართველოს მთების არწივთა, მშრომელ გლეხთა შორის, სადაც შენ ორი წლის განმავლობაში ეწეოდი ენერგიულ შრომას მათ საკეთილდღეოთ, დაუვიწყარი დარჩება.

შენი და შენი საყვარელი მშრომელი ხალხის მტრები, ვისი მსხვერპლიც შენ შეიქენი, სასტიკ პასუხს აგებენ რევოლიუციონურ სამჯავროს წინაშე.

ბრძოლით დაიწყო ამხ. სერგომ თავისი ცხოვრება და ბრძოლაშივე მოკვდა, როგორც შეჰფერის ძველ რევოლიუციონერს.

**კახელი.**

# კოოპერაცია

## როგორ ჩატარდა კოოპერაციის საერთაშორისო დღე კოლონია ლიუქსემბურგში

ერ კიდევ ერთი კვირით ადრე ესასწაულამდე — ლიუქსემბურგის იონის მთლიან მომხმარებელ სა- ოგადოების გამგეობამ პარტიასა და ოფესიონალურ ორგანიზაციებთან თად შეიმუშავა კოოპერაციის სა- რთაშორისო დღის ჩატარების გეგმა იუქსემბურგში და აგრეთვე ლიუქ- მბურგის რაიონში. კოოპერაციის ე ადგილობრივი პირობების მი- ხედვით გადატანილი იქნა 8 ივლი- სათვის—კვირას.

დილიდან კოლონია ლიუქსემბურგ- მიიღო საზეიმო სახე. ყველა სავა- ო დაწესებულებები ამ დღეს იყო კეტილი, გარდა მთლიანი მომხმა- ბელ საზოგადოების დაწესებულე- ბისა, რომლებიც ლამაზად იყვნენ ული. დილის 8 საათიდან მთ. მ. საზ. ცენტრალურ მაღაზიასთან შემდეგ თვით მაღაზიაში უკრავ- ორკესტრი. ამ დროისთვის უკვე ხიც მოგროვდა და ტკბებოდა მაზათ მორთულ გამოფენით, კი- ულობდენ ლოზუნგებს, უცხერო- ალეგორიულ და იუმორისტული ათის პლაკატებს. ამ დღეს საქო- ი იყიდებოდა 10 პროც-ით და- ებულ ფასებში, სასადილოში კი პროც-ის დაკლებით, სამი თავი ილი ღირდა 150 ათასი მანეთი, რ უმუშევარს მიეცა სადილი სრუ- ად უფასოთ.

იტინგი გაიხსნა ამხ. ლენინის სა- ობის მოედანზე დილის 9 საათზე; ოფესიონალური და რკინის გზის განიზაციები მწყობრი რიგებით ლოვდებოდენ მოედანს. მისასალ- ელი სიტყვებით გამოვიდნენ სა- რო კომიტეტის, სამაზრო აღმას- ის, საქ. კომკავშირის სამაზრო მიტეტის ქალთა განყოფილების, პროფორგანიზაციების, მოჯამაგირეების და ადგილობრივი თემის აღმასკომის წარმომადგენლები. მიტინგის შემდეგ ხალხი დროშებით და მუსიკით გაეშურა მთ. მ. საზ. შენობისაკენ, სადაც მათ შეხვდა გამგეობა მოსამსახურეებთან ერთად. ხალხი ენტუზიაზმით სავსე და ჩატარებული დღით კმაყოფილი, ხმა მაღლა გაიძახოდა: გაუმარჯოს კოოპერაციას, გაუმარჯოს ლიუქსემბურგის რაიონის მთ. მომ. საზოგადოებას, გაუმარჯოს ბორჩალოს მაზრის კოოპერაციის კერას.

მისასალმებელი სიტყვით კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ გამოვიდან მთ. მომ. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც თავის სიტყვის ბოლოში მოუწოდებდა ყველას გაემაგრებიათ კოოპერაციის რიგები და კერძო ვაჭრობის ბოიკოტისაკენ მთ. მომ. საზოგადოებიდან ხალხი დაიძრა მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „უნიონი“-საკენ, სადაც წარმოითქვა სიტყვა სასოფლო მეურნეობის ამხანაგობების მნიშვნელობის შესახებ. ამის შემდეგ მიტინგი დაიშალა. საღამოს იმავე დღესვე მოწვეული იქნა საზეიმო სხდომა მუშათა კლუბში, სადაც პრეზიდიუმის წევრებათ ამოირჩიეს ამ-ბი ლენინი, ტროცკი, ცხაკაია და მ. ტოროშელიძე.

წაკითხული იქნა მოხსენება საერთაშორისო კოოპერატიულ დღის შესახებ; მოხსენების შემდეგ დაადგინეს გაუგზავნონ მისასალმებელი დეპეშა ამხ. ლენინს, საქ. კ. პ. ცეკას და ცეკავშირს, ამხ. ლენინი არჩეულ იქნეს გამგეობის საპატიო წევრათ და მისი ჯამაგირი გადაირიცხოს ჩათახის ქარხნის სახელობის საბავშვო სახლის სასარგებლოთ. მთელი დღე ატარებდა საზეიმო ხასიათს, ცუდ სულიერ განწყობილებაში იყვნენ მხოლოდ ვაჭრები, რომელნიც გრძნობდენ, რომ საკმარისია ორი ასეთი დღე ჩატარდეს და ისინი იძულებულნი იქნებიან დაკეტონ თავიანთი სავაჭროები და შეუდგნენ სასარგებლო შრომას.

# სასოფლო მეურნეობა

## ჩაის მოყვანა საქართველოში

საქართველო ერთად ერთი რესპუბლიკაა მთელ საბჭოთა ფედერაციაში, სადაც ჩაი მოდის.

ჩაის მცენარეს უყვარს ოდნავ ნესტიანი, ნოყიერი, უკირო ნიადაგი და თბილი ჰაერი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პირველად ჩაის მცენარე დარგეს ჩვენში.

წინათ ჩაი მხოლოდ საზღვარ გარეთიდან, ჩინეთიდან, ცეილონიდან, იაპონიიდან და სხვ. შემოდიოდა.

მთელი ბათომის მხარე, ნაწილი გურიის, სამეგრელოს და სოხუმის ოლქისა გამოსადეგია ჩაის მოსაყვანათ.

ჩაი ვერ იტანს მშრალ, ცხელ აღმოსავლეთის ქარს, რაც ხშირად იცის იმერეთში, თორემ აქაც ბევრი ადგილებია, სადაც ჩაი იხეირებს.

ამ ჟამათ მთელ საქართველოში ჩაის ნარგავების სივრცე უდრის დაახლოვებით 900 დესეტინას; უმთავრესი ნარგავები ჩაქვის სახალხო მამულშია და მისს მიდამოებში; აგრეთვე არის გურიაში და ცოტა (3—4 დესეტინა) სამეგრელოში.

აღნიშნულ რაიონებში ჩაისათვის გამოსადეგი ადგილები. 40—50 ათასი დესეტინამდე გამოიძებნება და მოსავალი რა თქმა უნდა დიდი იქნება, მაგრამ რაც უნდა ბევრი მივიღოთ ჩაი, მისი გასაღება უზრუნველყოფილია.

ამ ჟამათ ჩვენში მოდის 400 ათასი გირვანქა ჩაი,—რაც წვეთია ზღვაში რუსეთის ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის. მოთხოვნილებასთან შედარებით. როდესაც ჩვენი გამოსადეგი ალაგები დაირგვება, ჩაის მოსავალი ათეულ მილიონობით მოგვივა და ეს დიდათ წასწევს წინ მშრომელთა ყოფა-ცხოვრებას და თვით რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებას.

ამ გარემოებას უნდა მიაქციოს ყურადღება მშრომელმა გლეხობამ და მოინდომოს ჩაის წარმატების გაფართოება.

ჩაის მცენარე არ არის ძნელი მოსავლელი და ჩვენმა ხალხმა მისი მოვლა ადვილად შეითვისა. გურიაში გლეხებს აქვთ პატარა ნაკვეთები ჩაის ნარგავებისა და მშვენიერათაც აქვთ მოვლილი.

მიწის გადაბრუნება, გასხლვა, დროზე ფოთლის მოკრეფა და გადამუშავება იციან და წესიერათ აწარმოებენ.

ჩაის ნარგავების სივრცე ჩვენში არ გაფართოვდა სათანადოთ და ეს გასაკვირველიც არ არის; ძველათ, მეფის დროს, მშრომელ მასსას ყურადღებას არავინ აქცევდა და რასაც გააკეთებდა გლეხი, მას ჩალის ფასად ართმევდენ; გურიაში ცოტა იყო ნარგავები ჩაის, მაგრამ გლეხებს ჩაის ფურცელი ზარალს აძლევდა, რადგან ვერ ასაღებდენ.

რუსეთს ჩაი საზღვარ-გარეთიდან (ჩინეთიდან უმთავრესად) ათი ათას ფუთობით შემოჰქონდა და შიგნით დამზადებული კარგი ხარისხის ჩაი იხრათ რჩებოდა;

სულ 300—400 ათასი გირვანქა ჩაის ამზადებდენ და იმის გასაღებაც უჭირდათ.

შემოტანილი ჩაი კი ბევრი იყიდებოდა.

მაშინ სცდილობდენ საუფლისწულო მამულის „ჩაქვის“ და ბობოლების (პოპოვის და სხ.) ჩაის გასაღებას და რასაც მშრომელი გლეხი გააკეთებდა, ვის ქონდა მისი ჯავრი;

ომმა მთლათ დასწია ჩაის მოყვანის საქმე და ეს დიდად სასარგებლო დარგი მეურნეობისა არ ვითარდებოდა.

ჩაის ფოთლის გადასამუშავებლად საქართველოში სამი ქარხანაა—ჩაქვაში, გურიაში და ბათომის ახლოს.

ჩაქვის ქარხანა საუცხოვოთ არის მოწყობილი და ბევრი ჩაის დამზადება შეუძლია.

თვით ჩაის მცენარის გაშენება ადვილია.

რამდენიც უნდა გაშენდეს ჩვენს რესპუბლიკაში ჩაი, მისი ბაზარი დაუშრეტელია—მთლად საბჭოთა რესპუბლიკებში.

ჩაის ნარგავები დიდ შემოსავალს მისცემს ჩვენს გლეხობას და თვით რესპუბლიკას.

ჩაის მოყვანა ჩვენში უნდა განვითარდეს; მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც გლეხობა დაკავშირდება და წარმოება ხალხურ ხასიათს მიიღებს.

როცა ჩვენი გლეხობა მიეჩვევა შეერთებულის ძალით მუშაობას, ის ყოველივე სიძნელეს დასძლევს.

კოოპერატიულად შეერთებული გლეხობა თვითონაც გამონახავს საშუალებას და მთავრობაც დაეხმარება.

**გურული.**

# მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

## გორის მაზრაში

სამაზრო საგადასახადო სამეული მაისის 16 ს დაარსდა. სამეულის შემადგენლობა შემდეგია: სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ვასილ ქურდაძე (თავმჯდომარე), სამაზრო სასურსათო კომისარი კონსტ. მიხ. დონდაროვი და ფინინსპექტორი კონსტ. სერ. ჯომარდიძე. ამის შემდეგ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნენ გადამწერნი და თემებში დაიგზავნენ სათანადო ინსტრუქციებით. მათ მუშაობას დრო-გამოშვებით ადგილებში ამოწმებდა სახალხო სასურსათო კომისარიატის რევიზორ-ინსპექტორი ივ. კარგარეთელი, სამაზრო სასურსათო კომისარი, ფინინსპექტორი და სამაზრო აღმასკომის რომელიმე პასუხისმგებელი თანამშრომელი. ამასთან ერთად სამაზრო აღმასკომის სახელით სათემო აღმასკომებს წინადადება მიეცათ ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინათ გადამწერთათვის და საერთოდ მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განხორციელების საქმეში.

ამ მუშაობის დროს გამოირკვა, რომ საადგილ-მამულო კომიტეტს, რომელმაც აგრარული რეფორმა განახორციელა, ან სულ არა ჰქონდა რაიმე ცნობა, ან თუ ჰქონდა, ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ მით სარგებლობა შეუძლებელი იყო.

დასაბეგრი ობიექტების ფაქტიური აღნუსხვა ივნისის 3-სათვის დასრულდა გარდა ბორჯომის რაიონისა და ამ დღიდან დაიწყო სიების შემოწმება და სამაზრო ჯამის გამოყვანა. საკანტროლო მასალად გამოყენებულ იქნა თითქმის მხოლოდ 1917 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერის ცნობები და 1921 წლის ნატურ-გადასახადის კამპანიის დროს შეგროვილი მასალები. აქ მიღებულ იქნა მხედველობაში სახნავის სივრცის გადიდება და აგრეთვე ის გარემოება, რომ 1921 წელს აღნიშნულ იქნა მხოლოდ დათესილი მიწები. ამ მხრით მთელი ასი სოფელი აღმოჩნდა ისეთი, რომლის ჩვენებაც სახნავის სივრცის შესახებ ეჭვს იწვევდა, სასწრაფოდ მიღებულ იქნა ზომები ასეთ სიების შესასწორებლად.

შემოწმების შემდეგ დასაბეგვრ ობიექტების რაოდენობამ იმატა. აღმოჩნდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | კომლი . | 32 948 | |
| 2. | სახნავი . | 79.432 | დეს. |
| 3. | სათიბი . | 12.579,25 | „ |
| 4. | ხილის ბაღი . | 1.447,5 | „ |
| 5. | ვენახი . | 2.452 | „ |
| 6. | მსხვილფეხა საქონ. | 61.399 | „ |
| 7. | ცხვარი და თხა | 34.976 | „ |
| 8. | ღორი . | 4.881 | „ |

ყველაზე დიდი განსხვავება სახნავის სივრცის შესახებ აღმოჩნდა სახელდობრ სახნავი შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა 15 209 დესეტინით მეტი, ვიდრე პირვანდელს სიაში. ამის მიზეზი, როგორც შემდეგ გამოირკვა, ორია. პირველი ის, რომ მრავალს სოფელში გლეხები გადამწერთ ცნობებს აძლევდნენ თავიანთ მიწების შესახებ, რომელიც მამაპაპიდან მათ ხელშია და არას ამბობდენ იმ მიწების შესახებ, რომელიც უკანასკნელ აგრარულ რეფორმის დროს მიიღეს, ვინაიდან წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ შეიძლება ხვალ ეს მიწა ისევ ჩამოგვართვან და სხვას გადასცენ და მასში გადასახადები რათ მივცეთო. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ გლეხების ზომა „დღიური“, რომელსაც ჩვეულებრივად სახაზინო ნახევარ დესეტინათ იღებენ, ნამდვილად ბევრად მეტია ნახევარ დესეტინაზე.

მაზრაში დამთავრებულია არა მარტო დასაბეგრი ობიექტების აღნუსხვა და შემოწმება, არამედ მისი გადატანაც სახნავზე და მსხვილფეხა საკლავ საქონელზე.

# პროფკავშირებში

### გემო-კვების კავშირში.

**უმუშევრობის საკითხი.**

გემო-კვების კავშირში ამ ჟამად ირიცხება თბილისის ფარგლებში სულ 1745 წევრი. შრომის ბირჟაში კავშირს აქვს დაარსებული თავისი სექცია. ეს სექცია აწესრიგებს უმუშევართა საკითხს. უმუშევარ წევრთა რიცხვი უდრის 296, კავშირს უმუშევარ წევრთა საკითხი პირველ რიგში აქვს დაყენებული და შეძლების დაგვარად აწესრიგებს ამ საქმეს.

**მუშაობა ქალთა შორის.**

კავშირი დიდ ყურადღებას აქცევს ქალთა შორის მუშაობას. ხშირად იმართება ქალთა კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები ქალთა გათვითცნობიერების მიზნით.

**რა მდგომარეობაშია პროვინცია.**

აღსანიშნავია კავშირის შედეგი განყოფილებების მუშაობა: ქუთაისის, ბათომის და სოხუმის. ამ განყოფილებებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ცენტრთან. ქუთაისის განყოფილება აკავშირებს 142 წევრს და 76 უმუშევარი ჰყავს. ბათომის განყოფილებაში ირიცხება—267 წევრი. უმუშევარი არის 88 კაცი. სოხუმში წევრი არის სულ—149. მათ შორის უმუშევართა რიცხვი ძალიან მცირეა და უდრის 12 კაცს.

**რას აკეთებს კულტგანყოფილება.**

წერა-კითხვის უცოდინართათვის გახსნილი სკოლები ზაფხულის არდადეგების გამო დროებით დაიხურა. სწავლა განახლდება სექტემბრიდან. ივნისის თვის განმავლობაში კულტგანყოფილებამ გამოიწერა გაზეთი „მუშა“ და „რაბოჩაია პრავდა“-ს 70 ცალი. განყოფილება დიდ ყურადღებას აქცევს მუშათა გონებრივ განვითარებას. ამ მიზნით აწყობს წარმოდგენებს, სასიმღერო გუნდებს და ლექცია-მოხსენებებს.

**ბავშვთა ახალშენში.**

კავშირმა ბავშვთა ახალშენში აგარაკ კოჯორში გაგზავნა დასასვენებლად 6 ბავშვი.

**სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებაში.**

ივნისის თვის განმავლობაში კავშირმა მოახდინა 21 სატარიფო შეთანხმება და დასდო 1 კოლექტიური ხელშეკრულება რომელიც ვრცელდება 70 კაცზე. სულ უმცირეს ხელფასად დაწესებულია 8 მ. 50 კ.

**შრომის დაცვის განყოფილებაში.**

შრომის დაცვის განყოფილებამ ივნისის თვეში სამკურნალო დახმარება გაუწია 176 წევრს. 9 კაცი გაგზავნა დასასვენებლად აგარაკზე და დააზღვევა უმუშევარი წევრნი.

### ქიმიკოსთა კავშირში

**აჯალის შუშის ქარხანა.**

კავშირის ერთ-ერთ დიდ საზრუნავ საგანს შეადგენს აჯალის შუშის ქარხნის მოვლა და პატრონობა. საქმის წესიერად წასაყვანად მოწვეულია ინჟინერი ლანგამერი. ქარხნისთვის საჭირო მასალა დროზე მზადდება და ამას გარდა მისი სამეურნეო მხარეც კარგ დონეზე დადგა.

**მუშებში სიმთვრალე უნდა აღმოიფხვრას.**

ბორჯომის ზოგიერთ მუშებში შემჩნეული იყო სიმთვრალე. კავშირმა ამის წინააღმდეგ მიიღო ზომები და გააფრთხილა მუშები, რომ შემდეგ ამის მაგალითი აღარ მოხდეს. ლოთობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს მუშებში. ეს სენი ანადგურებს მუშის ცხოვრებას და შრომას.

**დახმარება უმუშევართ.**

უმუშევართ ეძლევათ პური უფასოდ. დაუზღვევ მუშებს დახმარება ეწევათ ფულითაც. ივნისის თვეში უმუშევრებისთვის გაღებულ იქნა 67 მილ. მან.

# წითელ ჯარში

## ცხენოსან ლეგიონში

ა. წ. 5 ივლის შესდგა ქართულ ცხენოსან ლეგიონის საერთო პარტიული კრება; დღის წესრიგში დასმული იყო: მოხსენება დეზერტირობაზე და სხვა საკითხები. დეზერტირობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. იოსავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ დეზერტირი წ. არმიელი მოღალატეა არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების, არამედ მსოფლიო მუშათა კლასის და აგრეთვე თავის ამხ. წ.-ამრაელების.

კრებამ ერთხმად გამოიტანა სათანადო რეზოლიუცია, სადაც კიცხავს და ზიზღს უცხადებს წითელი ლაშქრის დეზერტირს.

—

**ც. წ. კლუბი.** ქართული მსროლელი დივიზიის ც. წ. არმ. კლუბი ყოველ კვირეულათ ორჯერ აწყობს წარმოდგენებს, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე წითელ-არმიელებისათვის.

გარდა ამისა ყოველდღიურათ იგზავნება ნაწილებში 150 უბრალო კინოს ბილეთი. წითელ-არმიელები დიდის ხალისით ეტანებიან განვითარების საქმეს და იჩენენ დიდ უნარს თვითგაცნობიერებაზე.

—

**სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.** ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილები, თესვენ და აშენებენ ბოსტნებს, სადაც წითელ-არმიელებს მოყავთ საკმარისი და ხშირათ ბაზარზედაც გასატანი ბოსტნეულობანი. ქართველ მეომართა მშვიდობიანი შრომის გასაცნობათ რუსეთის მშრომელებისათვის ის ნაყოფი, რომელსაც ქართველი წით.-არმიელები მოიწევენ, იქნება წარდგენილი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ქ. მოსკოვში, ამ მიზნით მოხდა ჯერ ჯერობით რამოდენიმე ფოტოგრაფიული სურათის გადაღება მუშაობის დროს დივიზიის სხვა და სხვა ნაწილებში და წასვლის დროს თავის პატარა ნაყოფსაც წაიღებენ იქ, რომ აჩვენონ ყველას, რომ წითელი ჯარი ცალხელში თოფით იცავს საბჭოთა-ხელისუფლებას, მეორე ხელში კი თოხი უჭირავს და მშვიდობიან შრომას ეწევა.

# ქრონიკა

### საქ. სახ. კომისართა საბჭოში.

— **მუშათა კლუბების შესანახად:** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სახელმწ. ბანკს კომისართა საბჭოს თანხიდან საქ. პროფკავშირთა საბჭოს მუშათა კლუბების შესანახად მისცეს 3 მილიარდი მან.

— **სამხედრო მფრინავის ამხ. დავითაშვილის ოჯახის უზრუნველყოფა.** სახ. კომისართა საბჭომ დაღუპულ სამხედრო მფრინავ ამხ. დავითაშვილის ქვრივს და ბავშვებს დაუნიშნა ყოველთვიური დახმარება 30 მან. ჩერვონცებით.

— **ფირმა „ხოსიფროსის“ ვაჭრობის შეწყვეტა.** სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა, ფირმა „სოსიფროსის“ ვაჭრობა შეაჩეროს დროებით, ვიდრე აღნიშნული ფირმა არ გადაიხდის დადებულ საღერბო გადასახადს.

### საქ. უმაღლესი ეკ. საბჭოში.

— **ტყის სიმდიდრეთა ექსპლოატაცია.** საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ წინადადება მისცა ამხ. ამხ. კანდელაკს და ავაქოვს ახლო მომავლისათვის წარმოადგინონ პროექტი საქართველოს ტყეების სიმდიდრეთა ექსპლოატაციის შესახებ.

— **მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.** ამავე საბჭომ დაადგინა მიწად-მოქმედების კომისარიატს, ცეკავშირს, და სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს საბჭოს გაუხსნას სესხი სახ. ბანკიდან მოსკოვის სასოფლო სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებათ.

— **ჩოხატაური-თომახას გზის გაყვანა.** აღნიშნულმა საბჭომ აუცილებლად სცნო გაიყვანოს მოკენჭილი გზა ჩოხატაურ-თომახას ხაზით და ამის საჭიროებისათვის გაღებული იქნეს კომისართა საბჭოს თანხიდან 500 მილიონი მან.

### მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **შუამდგომლობა.** მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა შუამდგომლობით მიმართა საქ. უმაღლეს ეკ. საბჭოს, რათა აღნიშნულ კომისარიატის ქვეშ მყოფი დაწესებულებები განთავისუფლებულ იქნენ სარეწავო გადასახადისაგან.

### ფ.-ტ. სახალხო კომისარიატში.

— **გაზეთების ფას დაკლებით გადაგზავნა.** ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა დაბა-სოფლებში გაზეთების გავრცელების მიზნით, დაადგინა ყოველდღიური გაზეთების გადასაგზავნით საფოსტო გადასახადი დაარსდეს ნაკლები, ვიდრე არსებობდა ომ. მდე.

### რკინის გზაზე.

— **შტატების შემცირება.** დაარსდა ხაზზე შტატების შემამცირებელი კომისია ადმინისტ. სამსახ. უფროსის ბ. უგარენკოვის თავმჯდომარეობით.

### გამომცემლობა.

— **იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“.** გამოვიდა იუმორისტული ჟურნალ „ნიანგის“ მორიგი ნომერი (№ 4).

### კრებები და მოხსენებები.

— **მოხსენება ამხ. კამოს ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.** სამშაბათს, 17 ივლისს კამოს სახელობის საავადმყოფოში გაიმართება მოხსენება კამოს ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ.

### სხვა და სხვა.

— **გაზ. „კომუნისტის“ თანამშრომელთა და მუშა-კორესპონდენტების ექსკურსია.** დღეს, ბოტანიკურ ბაღს დაათვალიერებს გაზ. „კომუნისტის“ თანამშრომლებისა და მუშა-კორესპონდენტების ექსკურსია. აღნიშნულ ექსკურსიას ქალაქის აღმასკომმა და ბოტანიკურ ბაღის მმართველობის დირექტორმა დართო ნება გვირაბში უფასოთ მგზავრობის.

— **პროგრამების გამომუშავება.** სასკოლო რეფორმასთან დაკავშირებით შექმნილმა საპროგრამო კომისიამ უკვე შეიმუშავა 1-ლი საფეხ. საყოველთაო სავალდებულო სკოლის პროგრამები, რომელიც იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ქართულ და რუსულ ენებზე.

— **შეფობის მიღება სოფლებზე** 10 ივლისს ა. | კ. განსაკუთრებული წითელ არმიის მე-10 საინჟინერო ბატალიონმა მიიღო შეფობა ცემის და ტბის სოფლის გლეხებზე.

— **სამხედრო რევტრიბუნალში.** 13 ივლისს სამ. რევტრიბუნალმა გაარჩია საქმე ძირითადი სამოსწავლო ათასეულის წ.-არმიელის კაციტაძის, რომელსაც ბრალდებოდა დინამიტების ცომის მოპარვა. სასამართლომ კაციტაძეს მიუსაჯა 1 წლით გამასწორებელ სახლში დაპატიმრება.

— **შრომის რწმუნებულების ინსტიტუტი.** შრომის კომისარიატის რწმუნებულის კოლეგიამ დაადგინა აღადგინოს ავტონომიურ რესპუბლიკებში შრომის რწმუნებულების ინსტიტუტი.

— **სასოფლო-სამეურნეო აღწერა.** ტფილისის მაზრაში სასოფლო სამეურნეო აღწერის ხელმძღვანელების მიერ 16 ივლისს, დღის 12 საათზე აღმასკომის სტატისტ. განყოფილების ბინაზე დანიშნულია აღნიშნულ აღწერის თანამშრომელთა კრება.

— **ქუჩების შეკეთება** გათაწყვეტილია შეკეთებული იქნეს ტფილისის ყველა ქუჩები. ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს 2 რაიონში.

### შრომის ბირჟა

— **უმუშევრები.** 12 ივლისს აღრიცხვაზე გამოცხადდა 761 უმუშევარი. ჩაეწერა ახლად—86, სამუშაოზე გაიგზავნა—45 უმუშევარი.

### ბოროტ მოქმედებათა და უბედურ შემთხვევათა რაოდენობა ივნისის განმავლობაში.

— ცენტრალურ სისხლის სამართლის მილიციის ცნობით, ივნისის თვის განმავლობაში ტფილისში შემდეგ სხვა და სხვა ბოროტმოქმედებებს ქონდა ადგილი: მკვლელობა—6, შეიარაღებული თავდასხმა—1, ქურდობა—8, გამოტყუება—3, მითვისება—8, თვითმკვლელობა—3, ყალბი ფულის დამზადება—1, გაუპატიურება—2, ტუსაღების გაქცევა—1, ქუჩაში ძარცვა—1, კარტის თამაშობა—1, დამნაშავეთა მოძებნა—56, დაჭრა—9, შეურაცყოფის მიყენება—1, აფიორა—10. ქრთამის აღება—1, სამსახურში ბოროტმოქმედება—5, სიმულიაცია—1. შანტაჟი—3, ბავშვის დაკარგვა—3, გაძარცვა—6, ჩხუბი—1, ბანდიტიზმი—2, დახრჩობა—2, თავის მოწამვლა—1 და ტრამვაისაგან კაცის გაჭყლეტა—1.

## შეცდომის გასწორება

ამხ. ა. რუხაძის წერილში, რომელიც მოთავსებული იყო გუშინდელ №-ში, კორექტურული შეცდომით გამოტოვებულია წერილის მეორე სათაური: „დემოკრატიის თუ პროლეტარიატის ძალა-უფლება“.

# ხელოვნება

— **წარმოდგენა ღია ცის ქვეშ.** კვირას 15 ივლისს, ცენტრ. მუშათა კლუბში გაიმართება წარმოდგენა ღია ცის ქვეშ. წარმოდგენილი იქნება „ცხვრის წყარო“.

— **წიგნი ჰოვანეს თუმანიანზე ქართულად.** გრიშაშვილი ამზადებს წიგნს ოვანეს თუმანიანზე. წიგნში მოთავსებული იქნება თუმანიანის ბიოგრაფია, წინასიტყვაობა, პოეტის დახასიათება და მისი რჩეული ნაწერების თარგმანი.

— **ნაკადული.** გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ (№ 3—4) ჟურნალი საინტერესოდ შედგენილი.

— **ქართული კონსერვატორია.** განზრახულია ტფილისში ორი სახელმწიფო კონსერვატორიის ნაცვლად დაარსდეს ერთი, რომელშიდაც უპირველესად ქართულ მუსიკას ასწავლიან.

— **აკაკი ფალავას სტუდია.** მომავალ სეზონიდან აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებული სტუდია განზრახულია გადაკეთდეს სახელმწიფო სტუდიათ.

# პროვინციაში

## ბორჯომი

კვირას, 8 ივლისს ადგ. ქარხნების დაწესებულებების და სოფლებიდან გლეხების წარმომადგენლები, კ. პ. და ა. კ. კ. წევრები და ყველა დაინტერესებული მოქალაქენი დილიდანვე იკრიბებიან „ოქტომბრის რევოლიუციის ბაღში“, სადაც უკრავს მუსიკა.

დილის 11 საათზე ყველანი მწყობრად მიდიან საბავშვო სახლისაკენ, რომლის გახსნა განზრახულია ამ დღეს.

საზეიმო კრება გახსნა ბორჯომის აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ანტონ ჩხაიძემ, და სიტყვა მისცა სახ. გან. კომისრის მოადგ. ამხ. მარიამ ორახელაშვილისას, რომელმაც აღნიშნა, თუ როგორი მდგომარეობა და პირობებია ბავშვთა აღზრდის სფეროში ბურჟუაზიულ ქვეყნებში და საბჭოთა რესპუბლიკებში; კაპიტალიზმი ზრდის მხოლოდ მდიდრების ბავშვებს, რომ ისინი, მოხელეები გამოვიდენ.

საბჭოთა მთავრობის მიერ ბავშვთა სოციალური აღზრდა მომავალ ცხოვრებასთან არის შეფარდებული. საბავშვო სახლი არის ის კერა, საიდანაც კოლექტივისტური აღზრდა და იდეა უნდა გავრცელდეს კერძო ოჯახებშიც.

შემდეგ სიტყვა ეძლევა პარტკომის მდივან ამხ. ანდ. სიამაშვილს, რომელმაც აღნიშნა ის შრომა, რომელიც დახარჯა ადგილობრივ ხელის უფლებამ საერთოდ სახალხო განათლების საქმის [illegible] მოსაგვარებლათ და სახელდობრ საბავშვო სახლის მოსაწყობად.

შემდეგ სიტყვა ეძლევა პროფბიუ-'ს მდივანს ამხ. ა. კრავცოვს, რომელმაც აღნიშნა მუშათა ბავშვების აღზრდის და საბავშვო სახლის მნიშვნელობა, წითელი პროფკავშირები ყოველგვარ ასეთ საქმეებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ; დასასრულ განაცხადა, რომ ბორჯომის სხვა და სხვა კავშირები, საბავშვო სახლს სწირავენ ერთ მილიარდ მანეთს.

სიტყვა ეძლევა ა. კ. კ. ბორჯომის რაიკომის მდივანს ფრანგიშვილს. რომელმაც აღნიშნა ამ ორი კულტურულ დაწესებულების მნიშვნელობა, მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეუძლია ბავშვების ჭეშმარიტი აღზრდა. საქართველოს სინამდვილე, რომ ავიღოთ სამი და ექვსი წლის წინეთ არამც თუ ბავშვების და ისიც გაჭირვებულთა, აღზრდას ექცეოდა ყურადღება, არამედ არც ერთი დადგენილება არ არსებობდა მუშათა ახალგაზრდობის ინტერესების დასაცავად.

ა. კ. კ. ორგანიზაციის სახელით საბავშო სახლში მოთავსებულ ბავშვებს გადაეცა დროშა.

გლეხების წარმომადგენელმა ამხ. არევაძემ გამოსთქვა დიდი სიხარული და კმაყოფილება საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობით განათლების სფეროში.

გამოვიდენ სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებიც.

ყველა ორატორების სიტყვების შემდეგ მუსიკა ასრულებდა ინტერნაციონალს.

დამსწრეთა სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, ყველა გრძნობდა დიად საქმის მნიშვნელობას.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ ამ საქმეში და ზეიმში სრულიად არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და არც ერთი პირი არ დასწრებია საკურორტო სამმართველოდან

კრების დასრულების შემდეგ გაიმართა ბავშვების ცეკვა-თამაში, სიმღერა და სადილი, აგრეთვე—სადილი მასწავლებელთა წარმომადგენლებთათვის.

საღამოს, თეატრში გაიმართა საბავშო წარმოდგენა.

ყველა პასუხისმგებელ მუშაკებმა შესწირეს რამოდენიმე ათეული მილიონი მანეთი საბავშვო სახლის სამასწავლებლო კურსების საზეიმო. გახსნა მოხდა ცალკე სხდომაზე... აღსანიშნავია რომ ჩამორჩენილ აღმოსავლეთ საქართველოში კულტური მუშაობა თანდათან ძლიერდება და ცხოველდება.

**ჟან-ფანი.**

## გორის თემი (გორის მაზრა)

1923 წ. 7 ივლისს შესდგა გორის თემის სოფელ თორტიზის მასიური კრება, რომელიც გახსნა გორის ინსტრუქტორმა ამხ. ეპიფანე სიამაშვილმა. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი 1. საერთაშორისო კოოპერაციის დღის მნიშვნელობა 2. რელიგიური ცრუმორწმუნოების შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ეპ. სიამაშვილმა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერაციის საერთაშორისო დღეს და როგორი დახმარება შეუძლია გაუწიოს კოოპერატივმა გლეხობას.

კრება უერთდება მომხსენებლის აზრებს და გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ ფართო კრედიტი გაუხსნას სასოფლო კოოპერატივებს და უკანასკნელნი განთავისუფლებულ იქნენ გადასახადისაგან.

შემდეგ სარწმუნოების შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე ამხანაგი.

**გიბელი.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 61.

**ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.**

**ამიერ-კავკასიის რკინის-გზებისადმი გადანაყოლის დაბრუნების თაობაზე სარჩელისა და მოთხოვნის აღძვრის ვადის შემცირების შესახებ.**

1923 წ. ივნისის 21.

ამიერ-კავკასიის რკინის-გზებისადმი გადანაყოლის შესახებ პრეტენზიების მოსაწესრიგებლად, **სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:**

1. სარკინისგზო წესდების 101 მუხლს დაერთოს **შენიშვნა** შემდეგი შინაარსისა:

**შენიშვნა:** მოთხოვნა და სარჩელი ამიერ-კავკასიის რკინის-გზებისადმი გადანაყოლის დაბრუნების შესახებ, ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში გადაზიდვის საფუძველზე წარმომდგარი,—გაბათილებულია ექვსი თვის ხანდაზრულობით, უკეთუ ნაზღაური წინადვე განსაზღვრული არ იყო რკინის გზების მიერ აღიარებით, ნებაყოფლობითი გარიგებით ან და სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2. უფლება მიეცეს მეპრეტენზიეთ,—ერთი თვის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან—განუცხადონ რკინისგზებს თავიანთი პრეტენზიები გადანაყოლის შესახებ ადგილობრივი მიმოსვლის სარკინისგზო საბუთებით (ნაკლადნოით) იმ საქმეების გამო, რომელთაც ექვსი თვის ვადა უკვე გაუვიდა, ხოლო რომლითაც ერთი წელიწადი არ შესრულებია ხანდაზრულობის დაწყებიდან.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **გ. ხარუხანოვი.**

## დეკრეტი.

**ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.**

1923 წ. ივლისის „ “

**მიმღებ-გადამცემი და მიმღები რადიო-სადგურის მქონებლობის აკრძალვის შესახებ ყოველი პირისა და დაწესებულებისათვის.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ:**

1. აღეკრძალება ყოველ პირსა და დაწესებულებას, როგორც კერძოს, ისე საზოგადოებრივსა და მთავრობისას, აგრეთვე უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობას და საკონსულოს იქონიონ მთლად ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მიმღებ-გადამცემი და გადამცემი რადიო-სადგური, იმ გამონაკლისის გარდა, რაც აღნიშნულია ამა დეკრეტის მე-2 და მე-3 მუხლში.

2. უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობას და საკონსულოს უფლება აქვს იქონიოს როგორც მიმღებ-გადამცემი, ისე მიმღები რადიო-სადგური მხოლოდ სათანადო სახელმწიფოს მთავრობის ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე.

3. მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებას შეუძლიან იქონიოს ზემოაღნიშნული სადგური ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის განსაკუთრებული ნებართვით.

4. ამა დეკრეტის 1 მუხლში აღნიშნული პირნი და დაწესებულებანი, რომელთაც კი აქვთ რადიო-სადგური და მიმღები რადიო, მოვალენი არიან სამი დღის განმავლობაში დახურონ ეს სადგურები.

# მუშათა ცხოვრება

## დღეს, გაზ. „კომუნისტის“ თანამშრომლებისა და მუშა-კორესპონდენტებისაგან შემდგარი ექსკურსია დაათვალიერებს ბოტანიკურ ბაღს.

ექსკურსანტებმა თავი უნდა მოიყარონ „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე დილის 9 საათამდე.

### ძღვნად ამხ. მუშკორებს

თქვენ მუშების დარაჯნი ხართ
და მზვერავნი ბრძოლის ხაზზე,
მათი გულის საიდუმლოს
თქვენ ამღერებთ სევდას ხმაზე.

ბნელ სარდაფში გაიზარდეთ
პროლეტარის—დედის მკლავზე.
ხან შიმშილი, ხან სიტიტვლე
მუდამ გედგათ „პაწა“ კარზე.

„სიკვდილი, ან გამარჯვება“!
თქვენ დროშაზე დააწერეთ,
სადაც მოხვდეთ ბოროტებას,
გაკიცხეთ და ააფეთქეთ!

ხმა სიმართლის მიმოჰფინეთ
მთელს მსოფლიოს, მთა და ბარში,
დაიცავით ჩაგრულები
ამოუდგეთ მუშებს მხარში!

არ დაინდოთ სასიკვდილოდ,
მოსპეთ ყველგან მუშის მტერი.
თამამად და გაბედულად
ატრიალეთ კალმის წვერი!

**მუშ. ვახო როინიშვილი.**

### ჩათახის ქარხანა

ჩათახის ქარხანაში მოქმედობს რამოდენიმე ღუმელი. ერთი მათგანი მუშაობს მთელი დღის განმავლობაში.

„ზრუნარო“ უკვე მოტანილია ჩათახში და ახლო მომავალში დაიწყებს მოქმედებას.

მომქმედი ღუმელის საშუალო წარმოება დღეში უდრის 300 ფუთს. ახლო მომავალში ეს რიცხვი საგრძნობლად აიწევს. ჩამოსხმულ თუჯის თვისება საერთოდ დამაკმაყოფილებელია და თავის თვისებით ურალის თუჯს არ ჩამოუვარდება. ქარხანასთან მოწყობილია ქიმიური ლაბორატორია.

ღუმელის საამქროში მუშაობს 27 მწარმოებელი მუშა; ჰიდრო ელექტრონულ სადგურში მუშაობს 4 კაცი; ჰაერმბერ მანქანაზე—3 მუშა.

მუშებისთვის აქ აგებულია მუშათა სახლები. სახლები ლამაზად არის მოშენებული დაბლობზე. სახლების წინ [illegible]ს პატარა კარმიდამო, თითქმის [illegible] მუშა-მოსამსახურეს გაშენებუ[illegible] ჰყავს შინაური ფრინველი და პირუტყვი.

სადილი სასადილოდან მუშა-მოსამსახურეთ ეძლევათ 200,000 მანეთად კარგი ხარისხის პური, ცოტა მოშავო 25,000 მან განზრახულია სულ ახლო მომავალში ჩათახის ქარხანაში მოეწყოს მუშა მოსამსახურეთათვის კოოპერატივიც.

კლუბში გაიმართება ხოლმე ლექციები, მოხსენებები და წარმოდგენები. კლუბს თბილისიდან მოსდის როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის გაზეთები.

**მუშ. ელიაშვილი.**

### ავჭალის წყალსადენის მუშებ შორის

ა. | წ. 3 ივლისს მოხდა საერთო კრება ავჭალის წყალსადენის მუშების და მოსამსახურეებისა.

კრებას დაესწრნენ უმრავლესობა მუშებისა და აგრეთვე თბილისიდან მოსულნი მუშ. კომ. მეურნ. კავშირის ც. გ. პ. მ. მდივანი ამხ. სერგეევი. და ს. კ. პ. ავჭალის ქვე-რაიკომის მდივანი ამხ. ნ. სარქისოვი.

თავმჯდომარეობდა კრებაზე ამხ. სერგეევი.

დღიურ წესრიგში უმთავრეს კითხვებად იდგა: 1) ანგარიში ადგილკომისა მისი 5 თვის მუშაობაზე, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა და 3) ადგილკომის არჩევნები.

ადგილკომის მუშაობაზე მოხსენებას აკეთებს ადგილკომის მდივანი ამხ. ვ. ვარნაზოვი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ ხნის განმავლობაში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობამ ძლიერ მაღლა აიწია; აგრეთვე მუშების ეკონომიური მდგომარეობაც ბევრად გაუმჯობესდა.

ყველა დარგის მუშები ადასტურებენ ადგილკომის მუშაობის ნაყოფიერებას. დეფექტები თითქმის არ არის, რის გამოც ერთხმად გამოაქვთ სათანადო რეზოლიუცია.

შემდეგ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. შარაპოვი აკეთებს ვრცელ მოხსენებას სარევიზიო კომისიის და ადგილკომის მუშაობაზე. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სარევიზიო კომისიამ თავის სისტემატიურ რევიზიებით და ჩვენებებით უფრო გააუმჯობესა ადგილკომის მუშაობა.

საერთო კრება ამტკიცებს მოხსენებას სარევიზიო კომისიისას და მის მუშაობასაც სთვლის დამაკმაყოფილებლად.

ამას შემდეგ კრება შეუდგა ადგილკომის და კომისიების არჩევნებს.

ავჭალის წყალსადენის ადგილკომში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ვ. ვარნაზოვი, ნ. ჯაშიაშვილი და ა. გრიშაევი. მათთან კანდიდატებად ი. ჰოხონელიძე და ვ. ცხოვრებაშვილი.

სარევიზიო კომისიაში ერთხმათ არჩეულ არიან ამხ. შარაპოვი, მ. ვარდანაშვილი და ს. ბერაია, მათთან კანდიდატებად: კ. კასტიუკოვი და ქ. აბაზოვი.

შემდეგ კრებამ მოისმინა, რომ ავჭალის წყალსადენის გამგე ამხ. შ. რომადოვი არა მარტო წყალსადენში, —არამედ მთელ რაიონში ეწევა კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. ამიტომ საერთო კრება, იღებს რა მხედველობაში მის ერთგულ მუშაობას, ირჩევს მას თავმჯდომარედ კულტ-კომისიისა და წევრებად ამავე კომისიაში—ამხ. ლიუბიმცევს და მანჯგალაძეს.

**მუშა—ნიკალი.**

### თბილისის საქონლის სადგურში

11 ივლისს, დილის 11 საათზე, გაიმართა თბილ. საქ. სადგ. რკ. გზ. ტრამოტის მუშების კრება. კრებას დაესწრნენ ტრამოტის გამგე დ. კილაძე, სატრანსპორტო კავშირის მდივანი გეიდენი, პირველ რაიკომის მდივანი გოლდბაუმი და საქონლის სადგურის ყველა დარგის მუშები. კრების მიზანი იყო გამორკვეულიყო რკ გზ. სამმართველოსთან დადებულ ხელშეკრულების პირობები და ის მცირე შრომის ხელფასი, რომლითაც ამ დარგის მუშები გამოუთქმელ ეკონ. კრიზისს განიცდიან.

მოხსენებები გააკეთეს დ. კილაძემ, გეიდენმა და სხვ. კრების მიერ ხაზგასმით აღნიშნულია, რომ პირველ აგვისტოსთვის აუცილებლად გადასინჯული იქნას რკ. გზ. სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულება ფულის ტრიალის, ფასის მომატების და სხვ.

**მუშ. გიორგი ჩარხიშვილი.**

### მუშათა ქრონიკა

— **შრომის ბირჟის სექციის გადატანა.** ალმშენებელთა კავშირის შრომის ბირჟის სექცია გადატანილია ჩუღურეთის № 2 რაიკომთან.

— **შერეული სკოლა მუშებისათვის.** ალმშენებელთა კავშირის მეორე რაიკომთან დაარსდა შერეული სკოლა წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციისათვის.

— ამ რაიკომთან არსებობს მუშათათვის იაფ ფასიანი საჩაიე.

— **მუშები მოითხოვენ ლექტორებს.** ალმშენებელთა კავშირის № 2 რაიკომის მუშები თხოულობენ ლექტორებს. საჭიროა კავშირმა მიაქციოს სათანადო ყურადღება

— აღნიშნულ რაიადგილკომთან არსებობს საკონფლიქტო კომისია, რომელმაც 20 კონფლიქტი გაარჩია. 18 მათგანი მუშათა სასარგებლოდ დასრულდა, ორი კი გადაიგზავნა შრომის სახ. კომისარიატში.

— **ჩვენი მუშები დიდ ბეჯითობას იჩენენ სწავლაში.** გემო-კვების კავშირის № 11 ფაბკომის მუშებმა პირველი საფეხურის სკოლა უკვე დაასრულეს.

— ამ ფაბკომთან დაარსდა მუშათაგან შემდგარი სომხური დრამატიული წრე, რომელსაც მეთაურობენ თვითონ მუშები. ამ წრემ ჯერ-ჯერობით დასდგა ორი წარმოდგენა.

### იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

(ზედმეტი საათების მუშაობა).

**კითხვა:** საერთო წესით დაკანონებულია თუ არა ზედმეტი საათების სამუშაო დრო?

**პასუხი.** ზედმეტი საათების მუშაობა, როგორც საერთო წესი მუშახელის გამოყენებისა. შრომის კანონებით აღკრძალულია, იგი (ზედმეტი საათების მუშაობა) დაშვებულია მხოლოდ შემდეგ აუცილებელ შემთხვევებში:

1) იმ სამუშაოში, რომელიც გამოწვეულია ა) სახელმწიფოს მტერთა დასხმისგან დაცვის მიზნით და ბ) საზოგადო სტიქიურ უბედურებათა ასაცილებლად (როგორიც არის მაგ. წყალდიდობა, სხვა და სხვა გადამდები სენები და სხვა მოულოდნელი ცხოვრების ნორმალურ წესის დამრღვეველი გარემოებანი)

2) ზედმეტ საათებში სწარმოებს მუშაობა, როგორც ამას მოითხოვს საზოგადოებრივი მოთხოვნილება—წყალსადენში, ელექტრო-სადგურში, ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სადგურებში, კანალიზაციაში და ტრანსპორტში;

3) ზედმეტი საათების სამუშაო დრო შეიძლება დაშვებულ იქნას იმ გვარ საწარმოვო დაწესებულებაში, სადაც ტეხნიკური პირობები აუცილებლივ მოითხოვენ დაწყებულ საქმის სასწრაფოდ დამთავრებას, ვინაიდან მის დაგვიანებას შეუძლია რამე ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს ქონებას;

4) ზედმეტი საათების სამუშაო დრო დაშვებულია აგრეთვე დროებითი ხასიათის სამუშაოში—როგორიც არის მაგ.—სასწრაფო რემონტი რკინის გზის ლიანდაგის, წყალსადენის, ელექტრო და ფოსტა-ტელეგრაფის სადგურების და სხვა.

**კითხვა:** განსაზღვრულია თუ არა ზედმეტი საათების სამუშაო დრო ზემოაღნიშნულ შემთხვევებში?

**პასუხი:** განსაზღვრულია წელიწადში—ასოცი საათით, მასთან ზედმეტი საათების სამუშაო დრო, რომელიც დახარჯულია ზედი-ზედ—ორ დღის განმავლობაში წარმოებულ სამუშაოსთვის არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს.

**კითხვა:** დაშვებულია თუ არა მოზარდთა 18 წლამდე ზედმეტი საათების მუშაობა?

**პასუხი:** ზედმეტი საათების მუშაობა 18 წლამდე მოზარდთათვის ყოველ შემთხვევაში აღკრძალულია და შრომის კანონთა კოდექსის ამ მუხლის დამრღვეველნი იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი, როგორც შრომის ექსპლოატატორები სისხლის სამართლის წესით.

**(იხ. კოდ. შრ. კან. მუხ. 103—104; 105—106).**

---

5. ამა დეკრეტში აღნიშნულ დებულებათა აღსრულებაში მოყვანა დაევალება ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედერ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—**მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

### დადგენილება

**ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**1923 წელი ივლისის 9**

**ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ,** საერთო-სახელმწიფოებრივი, სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტისათვის მიკუთვნებულ ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის შესახებ 1923 წ. აპრილის 2-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-2 კარის მე-3 თავის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის (განყოფილება საქალაქო დასახლებული ადგილის შესახებ) საფუძველზე, ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

— დამტკიცდეს და ძალაში შევიდეს ქვემოაღნიშნული წესები ადგილობრივი გადასახადისა სამრეწველო ბაღებსა და სამრეწველო ბოსტნებზე.

1. გადასახადი უნდა დაედოს ყველა ხეხილის ბაღებს, ვენახსა, ბოსტანსა და ბაღჩას, რომელიც გაშენებულია ქალაქში და ქალაქის ხაზის შიგნით მდებარე რაიონში, გარდა იმ გამონაკლისისა, რაც აღნიშნულია მე-2 მუხლში.

**შენიშვნა.** ბაღი და ბოსტანი, რომელიც მდებარეობს ქალაქისა და მისი რაიონების გარეთ ან ისეთ ქალაქში, რომლის მოსახლეობისთვისაც სოფლის მეურნეობა შეადგენს ძირითად საქმეს (სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის 1-ლი მუხლის 1-ლი შენიშვნა)—დაიბეგვრება ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო საფუძველზე.

2. გადასახადისაგან განთავისუფლდება: ა) ბოსტანი და ბაღჩა, რომელიც ერთი მეპატრონის სარგებლობაში 150 ოთხკუთხ საჟენზე ნაკლებია, უკეთუ ასეთ ბოსტანში მოწყობილი არ არის შუშაბანდიანი სათბილობელი უჯრები (პარნიკი), რისი ექსპლოატაციაც ხდება სამრეწველო მიზნით; ბ) ბაღი და ბოსტანი, რომელიც კოლექტიური სარგებლობისათვის მიეცა სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს, უკეთუ ერთ მონაწილეზე კოლექტიურ სარგებლობაში მოდის 30 ოთხკუთხ საჟენზე ნაკლები; გ) ბოსტანი ან მისი ნაწი ხორბლეულის კულტურისათვის გამოყენებული; დ) ხეხილის ახალი ნაშენი 7 წლისაზე ნაკლები ხნისა; ე) ბაღი და ბოსტანი, სადაც სწარმოებს სამოსწავლო საჩვენებელი მუშაობა.

3. გადასახადი გადახდება იმ პირს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელთა განკარგულებაშიც გადადის მებაღეობისა და მებოსტნეობის პროდუქტები, შეუხედავად იმისა გადაცემულია ბაღი და ბოსტანი მათ მუდმივ სარგებლობაში თუ ისინი დროებით ახდენენ მის ექსპლოატაციას იჯარის საფუძველზე და სხვ.

4. ქალაქის ბაღისა და ბოსტნის გადასახადის რაოდენობა განისაზღვრება ზოლთა განაწილების მიხედვით, რაც დადგენილია სარეწავი გადასახადის აკრეფისათვის და საჟენზე, ჩერვონეცის ანგარიშით, არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი ზოლისათვის 1 კაპიკს, საშუალოზე უმაღლესი ზოლისათვის—სამი მეოთხედი კაპიკს, საშუალო ზოლისათვის—ერთი ნახევარი კაპიკს და საშუალოზე დაბალი ზოლისათვის—ერთი მეოთხედი კაპიკს.

5. სამრეწველო ბაღისა და ბოსტნის გადასახადის აკრეფის დასაწყისი ვადა დადგენილ იქნება საქალაქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მებაღეობისა და მებოსტნეობის პროდუქტთა რეალიზაციის დროის მიხედვით.

6. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატს ევალება ამა წესების დასამტკიცებლად და განსავითარებლად გამოსცეს ინსტრუქცია მათი შეფარდებისათვის.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. **გ. სტურუა.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

### ბრძანება № 12.

**საქართველოს სოც საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დამტკიცებულია ამხ. ქოჩიკაშვილის, ავაქოვის, მგალობლიშვილის, კ. მოდებაძის და ბ. კალანდაძის შედგენილობით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გეგეჭკორი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1923 წ. 13 ივლისი.

ტფილისი—სასახლე.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**პარტიული.**

— მე-4 რაიკომი საყვედურს უცხადებს ერთიან პარტიულ დღეს უჯრედის სხდომებზე დაუსწრებლობისათვის მინას გელიკოვსა და არტემ მელიკბეკოვს.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

## განცხადებები

ალექსანდრე ადოლფის ძე და ქსენია მაქსიმეს ასული შმიტცი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს მათი საყვარელი ქალიშვილის პატარა

**სოფოს (ქუთუღას)**

უდროვოთ დაკარგვას. გასვენება მოხდა 9 ივლისს, დილის 11 საათზე მიც. მამ. სოფელ სუფსიდან სოფელ ხრიალეთში დაკრძალვა მოხდა 10 ივლისს 961 1—1

ღრმად დამწუხრებული შვილი ვერა ბაბუნაშვილისა, სიძე აკაკი ბაბუნაშვილი და შვილიშვილი ჩიტო ბაბუნაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი უსაყვარლესი

**მღვდელ ლაზარე გიორგის ძე ფხაკაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 ივნისს სოფ. ფარცხანაყანევში.

956 1—1

---

კვირას, 15 ივლისს შუადღის 12 საათზე გადახდილი იქნება დიდუბის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი გარდაცვლილი

**მატა შარაშიძისა**

(შაქარაშვილის ასული)

რასაც აუწყებენ ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს რძალი ნინა კობალაძის ასული შაქარიშვილისა, შვილები: ესმა კალანდაძისა, ნატალია კობალაძისა, ნინა სვანიშვილისა, ირაკლი და ალექსანდრე შაქარიშვილები და სიძე ივანე სვანიშვილი. 960 1—1

---

**ჟურნალისტი**

**სრულიად რუსეთის განათლების მუშაკთა სამმართველოსთან არსებულ სრულიად რუსეთის ბეჭდვითი საქმის ცენტრალურ ბიუროს სექციის ორგანო.**

ჟურნალი ემსახურება რუსეთისა და უცხოეთის განათლების საკითხებს, რუსეთისა და უცხოეთის ბეჭდვითი საქმისა და ლიტერატურის მუშაკთა ცხოვრებას.

გამოვიდა №№ 1, 2, 3, 4 და მე-5. ამ დღეებში გამოვა მეექვსე ნომერი.

შეკვეთა უნდა გაიგზავნოს პირდაპირ რედაქციაში შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ნიკიტის ბულვარი, სახლი № 8 რედაქცია „ჟურნალისტ“-ი; თითო ნომერი (გადაგზავნით) ღირს 1 მან. 50 კ. ჩერვონცებით, ფულის მიღების დღის კურსით.

ვინც 10 ცალზე მეტს გამოიწერს 10 პროც. დაეთმობა.

(5—1)

---

**მესხილეებო!!!**

კვირას, 22 ივლისს დანიშნულია გორის მაზრაში სოფ. ატენში

**საჯარო ვაჭრობა**

ყოფილ ზუზმანისეულ ბაღის მოსავლისა. გაიყიდება ხეზედ საუკეთესო **შესანახი** ჯიშები ატმისა, ვაშლისა და მსხლისა. დაესწარით 12 საათზე. სოფ. ატენი მოშორებულია გორიდან 6 ვერსის მანძილზე.

952 1—1 **საადგილ-მამულო განყოფილება.**

---

**შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი**

**ამით აცხადებს,**

რომ პირად წიგნაკების გაცემა, შემოღებულია საქართველოს ცაკის ა. | წ. მარტის 10 თარიღით № 83 დადგენილებით, გადადებულია განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ა. გეგეჭკორი**

კრ. 504—1—1

---

**ს. ტ. ს. ს.** **რ. ს. ფ. ს. რ.**

**სახსპირტი**

**სახელმწიფო სპირტის მონოპოლიის რწმუნებულის სამმართველო (სახსპირტი) ამიერ-კავკასიაში**

**აცხადებს, რომ**

ოკას სასანიტარო სამმართველო, საბეითლო ნაწილი, ამიერ-კავკასიის რკინის გზათა ჯანმრთელობის განყოფილება, საკურორტო სამმართველოები, სახ. ჯანმრ. კომისარიატის სამკურნალო და სხვა დაწესებულებები, რომლებიც ნარიადებით ღებულობენ სპირტს მოსკოვიდან, მიმაგრებული არიან რ. ს. ფ. ს. რ. სახსპირტის რწმუნებულის სამმართველოზე ამიერ-კავკასიაში

**აპრილის და ივნისის თვეში მოუხმარი ნარიადები, ძალაში რჩება ამა წლის 1 აგვისტომდე.**

**სახსპირტი**

**აწოდებს**
სახელმწიფო დაწესებულებებს
და კერძო პირებს
რუსეთის პურის გაწმენდილ
სპირტს 96—970

**ყიდულობს**
კავკასიის კონიაკს და კონიაკის სპირტს დიდი რაოდენობით,

**მიმართეთ:** ტფილისი, სასახლის ქუჩა 6, სახსპირტის რწმუნებულის სამმართველო ტელეფონი 9—84.
„ მთავარი საწყობი—ჩერქეზიშვილის ქუჩა № 93, ტელ. 21—33.
„ საქარ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი—ტელეფ. 20—48.
ბაქო კრასნოვოდსკის ქ. 21, მთავარი საწყობი ტელეფ 9—48.
ბათომი მთავარი საწყობი (ლორის-მელიქოვის ქ. № 3). (კრ. 503-3—1)

---

**სახლი**

თავისუფალი ბინებით საჩქაროდ და იაფად იყიდება, ვისაც სურს იყიდოს და გაყიდოს უნდა მიმართოს მამადავითის ქუჩაზე № 3, ბინა 2 დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

**გაყიდვა განახლდა.**

(957—1—1)

---

**პროგრამა**

**შავი ქვის მრეწველთა მე-25 (მორიგი) ყრილობისა**

1. ყრილობის თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.
2. განხილვა ანგარიშებისა: ა) საბჭოსი, ბ) სარევიზიო კომისიისა, გ) მარგანეცის კომიტეტის მოხსენებისა.
3. განხილვა სტატისტიკური ცნობებისა მადნების ნაყოფიერებაზე, შავი ქვის რაოდენობაზე, რკინის გზის საწყობებზე და გატანის რაოდენობაზე: რკინის გზის გადამზიდავ საშუალებებზე და საწყობებზე და სხ.
4. სამრეწველო რაიონის წყლით ხევებში მისავალ რკინის გზის გაყვანა.
5. სამრეწველო რაიონის წყლით უზრუნველყოფა ძირიდან. (მოხსენება საქმეთა მმართველის).
6. საექიმო დახმარების გაწევა მუშა მოსამსახურეთათვის.
7. მარგანეცზე დადებულ საფუთო გადასახადისა და მისი დანიშნულების შესახებ. (მოხსენება—თევზაძისა).
8. რკინის გზის საკითხები—(მოხსენება თავმჯდომარ.).
9. ჭიათურაში თუჯის და სხვა რკინეულობის ნაწილების დამამზადებელი სახელოსნოს გახსნა.
10. მიმდინარე საკითხები.
11. 1923 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.
12. თანამდებობის პირთა არჩევანი.

(კრ. 480—3-3)

---

**დაიბეჭდა და გამოვიდა „ამიერ-კავკასიის ფინანსების მოამბე“-ს № 1**

**ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორკვირეული ჟურნალი**

ნომრის ფასი—1 მან. ჩერვონცით.

რედაქცია, კონტორა და ექსპედიცია: ტფილისი, ტროცკის ქ. (ყოფ. პეტრე დიდის), სახლი № 8, მესამე სართული.

— მიიღება ხელის მოწერა 1923 წლისათვის —

**ხელის მოწერის ფასი:**

ივლისისათვის—1 მან. 75 კ. ჩერვ. მიუწოდებლად.
„ —2 მან. ჩერვ. ტფ. ხელის-მომწერლებისათვის მიწოდ.
„ —2 მან. 80 კ. ჩერ. ტფ. გარეშე ხელის მომწ. მიწოდ.

**განცხადებები** მიიღება 25 მან. ჩერ. მთელ გვერდისათვის, 15 მან. ჩერვ.—ნახევარი გვერდისათვის, 10 მან. ჩერვ. გვერდის მეოთხედისათვის; ტექსტის შემდეგ ორჯერ იაფი.

ხელის მოწერა „ამიერ-კავკასიის ფინანსების მოამბე“ და შეკვეთები ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო ეკონომიურ ბიუროს გამოცემების საყიდლად მიიღება მხოლოდ ფულის სრული თანხის მიღების შემდეგ. კრ. 500 2—2

---

**ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში**

სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ განცხადებანი მიიღება ყველა ფაკულტეტზე 10 აგვისტოდან და დამთავრდება 5 სექტემბერს.

განცხადებანი მიიღება შემდეგ ფაკულტეტებზე: **1. პედაგოგიურზე,**
(განყოფილებები: **სიბრძნის მეტყველების, სამათემატიკო-საბუნების მეტყველო და ქიმიო-ფარმაცევტიული**),
**2. სამკურნალოზე, 3. აგრონომიულზე**
(განყოფილებები: **სატყეო და სასოფლო-სამეურნეო**),
**4. სოციალურ-ეკონომიურზე**
(განყოფილებები: **სოციალური და ეკონომიური**).
**5. პოლიტეხნიკურზე**
(განყოფილებები: **სამთო-მადნო, საამშენებლო და მექანიკური**).

**სიბრძნის მეტყველების განყოფილებაზე** ჩარიცხვის მსურველებმა უნდა მოიხსენიონ განცხადებაში—რომელი დარგი სურთ: **ისტორიული, სიტყვიერების, ფილოსოფიური, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიური თუ ხელოვნების.**

**პოლიტეხნიკურ ფაკულტეტზე**

ჩარიცხულ იქმნებიან მხოლოდ ისინი, ვინც უნივერსიტეტთან ჩააბარებს გამოცდას **ელემენტარულ მათემატიკაში** (ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია) და **ფიზიკაში; სამკურნალოზე** ვინც ჩააბარებს **ფიზიკასა და ქართულ თხზულებაში.**

განცხადებასთან უნდა წარმოდგენილ იქმნეს შემდეგი საბუთები (თვით დედანი და ორი შემოწმებული პირი თვითეულ საბუთისა): 1. საშუალო განათლების მოწმობა, 2. დაბადების მოწმობა, 3. მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, 4. ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი (თხელ ქაღალდზე გადაღებული) და 5. ორ მილიონ ნახევარი მანეთი. გამოსაცდელმა პირებმა წინასწარ უნდა წარმოადგინონ ნახევარი მილიონი მანეთი გამოცდების ჰონორარად, ჩასარიცხავი გამოცდები დაიწყება 15 სექტემბერს. პოლიტეხნიკურ და სამკურნალო ფაკულტეტების პირველ კურსზე ჩარიცხვის მსურველები უნდა გამოცხადდენ უნივერსიტეტში ჯგუფებად განაწილებულნი 10 სექტემბერს, დილის 10 საათზე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **გამგეობა.** 955 3—1

---

**ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილება**

აცხადებს **შეჯიბრებას** პურის გამოცხობის იჯარით გასაცემად **ტფილისის ქალაქის მილიციის** თანამშრომლებისათვის, დღეში დაახლოვებით 60 ფ. რაოდენობით.

**შეჯიბრება დანიშნულია ამა წლის 17 ივლისისათვის**

დღის 12 საათზე სამმართველოს განყოფილების შენობაში (დუმბაძის ქ., ყოფ. ველიამინოვის № 7) ოთახი 8. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველთ წინადადება ეძლევათ წარმოადგინონ განცხადებები **დახურულ კონვერტებში** დამატებითი ნამცხვარის რაოდენობის აღნიშვნით. (ცნობებისათვის გირაოს შეტანის შესახებ 25.000.000 მანეთის რაოდენობისა ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით, უნდა მიმართონ განყოფილების სალაროს. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება განყოფილების უფროსთან.

სამმართველოს განყოფილების გამგე პრეზიდიუმის წევრი: **თაქთაქიშვილი.**

ადმინისტრატიულ ნაწილის გამგე: **ახვლედიანი.**

კრ. 497 3—1

---

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**

**ი ფ. პალატნიკოვის**

პლეხანოვის პრ. № 132.

**სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.**

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—7

---

ელექტრონის სინათლის და

**სამკურნალო**

საწოლებით რენტგენი დ·არსონვალი

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის

ხირურგიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

[illegible] სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501 26—21)

---

**დაიკარგა** ანტონინა ნიკოლაშვილის სახელზე გაცემული შრომის ბირჟის ფურცელი. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

954 1—1

---

**დაიკარგა** აღრიცხვის ქაღალდი, გაცემული ზესტაფონის სამხედრო კომისრის მიერ იეუდი ელიკიშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

959 1—1

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კრონშტადტის ქუჩა № 4